საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. სამშაბათი, 15 აპრილი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდ

ერთობა

ფასი 75 კაპ.

[illegible] „ერთობის": 1 თვით 18 მანეთი. ცალკე ნომერი ღირს 75 კაპ. განცხადებების ფასი, [illegible] სტრიქონი—1 მან. [illegible] განცხადება 25 მან. [illegible] 12 ს. [illegible]

[illegible] „ერთობის" რედაქცია. [illegible] 10—11 [illegible] 24.

ტელეფონი 16—62.

№ 84 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 84

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ნინო გიგოს ასული, მეუღლე ოლიკო ტარიელის ასული, შვილები: შურა (ალექსანდრე) და ნუშკია, ძმა დიანოზი, რძალი სონა სიმონის ასული და ძმისწული დათიკო დიანოზის ძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 11 აპრილს სადგურ კარაიაზის მახლობლათ ვერაგულათ მოკლული იქნა

კირილე მათეს ძე ხვედელიანი

გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 15 აპრილს, დილის 11 საათზე საკუთარი ბინიდან, მაგისტრალნი ქ. № 33. დასაფლავება წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებულნი და ქეთევანი, სიძე რომანოზ სიკოლაზის ძე, დისწულები: გიორგი, ვალენტინა, ბაგრატი, სონა, შალიკო, რაჟიკო და ცამარა ბაკურაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 11 აპრილს სად. კარაიაზის მახლობლათ ვერაგულათ მოკლული იქმნა

კირილე მათეს ძე ხვედელიანი

გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 15 აპრილს დილის 11 ს. საკუთარ ბინიდან, მაგისტრალნი ქ. № 33. დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზე.

დამწუხრებული მეუღლე აბრაამ მარიამის ძე კობალაძე, შვილები ნადია, პეპიკო, კოკურა, პეპელა, თამარა და ცუცუნა, დედა გინატრა გოგიბერიძისა, დედამთილი რისიმე კობალაძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს 17 აპრილს ს. სამგზაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი

ქეთო (მაკრინე) გიორგის ასულ კობალაძის

სულის მოსახსენებლად.

ვასო ლუკას ძე ინწკირველი, გიორგი იოსების ძე ოხანაშვილი მეუღლითურთ და მარიამ იოსების ასული ივანოვისა, ევა იოსების ასული პოპიაშვილისა შვილთურთ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 13 აპრილს ღამით გარდაიცვალა ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ პირველის ძვირფასი და საყვარელი მეუღლე, მეორესი მესამესი და მეოთხესი ძვირფასი და დაუვიწყარი და

კატო (ეკატერინე) იოსების ასული ინწკირველი

პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 7 ს. საკუთარ ბინაზე, [illegible] ქ. № 29. გამოსვენება ოთხშაბათს 10 ს. ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზე. 2—1

პროფეს. კავშირების ახალი ცენტრი

ცხოვრების სინამდვილე კეთილ სურვილებზე ძლიერი გამოდგა: ამიერ-კავკასიის კავშირთა ყრილობაზე დასწრება არ მოისურვეს ბაქოს პროლეტარიატის დღევანდელმა მესვეურებმა, რითაც ადერბეიჯანის მუშათა კლასი ფაქტიურათ მოწყვეტილი დარჩა ამიერ-კავკასიის მოძრაობას. სომხეთის მუშათა კლასი, თუ იქ ასეთი კლასი ან მისი ჩანასახი მაინც არსებობს, სულ არ იღებს ხმას.

ამ რიგათ, საქართველოს მუშათა კლასი იძულებული იყო ანგარიში გაეწია არსებული პირობებისათვის და კავშირთა ყრილობამ 13 აპრილს დაადგინა: გამოაცხადოს თავისი თავი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის პროფეს. კავშირთა ყრილობათ.

ამ დადგენილებით კავშირთა ცხოვრება დიდათ არ იცვლება. ფაქტიურათ ამიერ-კავკასიაში მუდამ ორი ცენტრი არსებობდა—ბაქოსა და თფილისში. სომხეთი მონაწილეობას არ იღებდა, რადგან ეკონომიური განუვითარებლობის გამო იქ მუშათა კლასი ჯერ კიდევ არ არსებობს. ეს ორი ცენტრი—ბაქო და თფილისი სულ სხვადასხვა პირობებში იყო მოქცეული. ბაქო თავისი ნავთის მადნებით მთელი რუსეთის ეკონომიური ცხოვრების მთავარ ძარღვს შეადგენდა და ამ გარემოებით ბაქოს პროლეტარიატი პრივილეგიურ პირობებში იყო ჩაყენებული. ასეც სარგებლობდა ამ პრივილეგიებით და ამიტომ ძლიერი კავშირების საჭიროების იდეია იქ სუსტი იყო.

თფილისს არ ჰქონდა ეს უპირატესობა, ამიტომ საქართველოს მუშათა კლასს ყოველი ნაბიჯის გადადგმა დიდი სიფრთხილით და ენერგიის დახარჯვით უხდებოდა. ამან თავისებური ბეჭედი დაასვა ჩვენებურ პროფესიონალურ კავშირებს და მათ პოლიტიკის ხაზი დასავლეთ ევროპის პროფესიონალური მოძრაობის ხაზს მიუახლოვა.

ეს მთავარი ხაზი დღესაც ანსხვავებს ამ ორი ცენტრის პოლიტიკას: საქართველო თფილისის მეთაურობით ანგარიშს უწევს რეალურ ძალთა განწყობილებას და მიუხედავათ იმისა, რომ ძალა-უფლება მის ხელში იყო და არის, განუხორციელებელ ოცნებებს არ ეძლევა. ბაქო კი ცალმხრივათ და გაზვიადებულათ აფასებს თავის ძალებს, რასაც ის დემოკრატიის პრინციპების დავიწყებამდე მიჰყავს. ამიტომ იყო, რომ ბაქოს პროლეტარიატის მეთაურებმა ვერ შეიგნეს საქართველოს მიერ გადადგმული აუცილებელი პოლიტიკური ნაბიჯი და საქართველო კონტრ-რევოლუციის ბუდეთ გამოაცხადეს.

სამწუხაროთ, ბაქოს პროლეტარიატი იმდენათ უძლური გამოდგა, რომ ვერ შესძლო „მოკომუნისტე" მეთაურების გამთიშველ პოლიტიკის ალაგმვა, თუმცა თავისი საღი ალღოთი კარგათ უნდა გრძნობდეს სოლიდარობის საჭიროებას.

საქართველოს პროფესიონალურ კავშირების მიერ გადადგმულ ნაბიჯს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში. მართალია, ხალხის მიერ არჩეულმა, ნდობით აღჭურვილმა პირებმა დააკანონეს საქართველოს დამოუკიდებლობა, სოციალდემოკრატიულმა მუშათა პარტიამაც იცნო ეს აქტი და თითქმის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის საზღვრებს შეუფარდა თავისი ორგანიზაცია, მაგრამ ეს იყო, ჩვენი მოწინააღმდეგეთა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზე ლიდერების სურვილი და მოსულ ძალების გავლენის ნაყოფი.

პროფესიონალურ კავშირების ყრილობა ყოველ ასეთ ეჭვს გარეშე სდგას, ის ნამდვილი მუშათა კლასია, მიუხედავათ აზრთა სხვადასხვაობისა და პარტიულ რწმენისა. და ამ უპარტიო და ყველა რწმენის მუშათა წარმომადგენლობამ ერთი მტკიცე რწმენა და ნებისყოფა საჯაროთ აღიარა და მომავალ მუშაობას საფუძვლათ დაუდვა: ეს არის დადასტურება საქართველოს დამოუკიდებლობისა და აღიარება იმის, რომ პროფესიონალურ კავშირების სურვილია დამოუკიდებელ საქართველოს ბედს დაუკავშირონ თავისი ბედი.

და ის ხალხი, რომელმაც შესძლო მომენტის სწორად დაფასება და საღი ალღოს გამოჩენა, არ დაივიწყებს იმ გარემოებასაც, რომ საჭიროა მეზობელ რესპუბლიკების მუშებთან სოლიდარობის განმტკიცება და საამისო ზომების გამონახვა.

ასეთის მოღვაწეობის მოლოდინში ჩვენ ვულოცავთ პროფესიონალურ კავშირების ახალ ცენტრს ნაყოფიერ მუშაობას.

პრესა

გაზეთი „საქართველო" ეხება დამფუძნებელ კრების დეკრეტს, რომელიც დროებით კრძალავს ქალაქის დასახლებულ მიწების სხვებზე საკუთრებათ გადაცემას, დაგირავებას და ერთის წლის მეტის ვადით იჯარით გაცემას და ასეთი ფრაზებით უმასპინძლდება მკითხველებს:

„არჩევნების წინ ცნობა-ცნობაზე იბეჭდებოდა ოფიციოზ „ერთობაში", ყოველ სახლმფლობელს მოკლებულია ხმები, თითქოს მიწადმოქმედების სამინისტროს ქალაქის მიწების კონფისკაცია ჰქონდეს განზრახული. ამ ხმების გავრცელებას მოპირდაპირე პარტიებს აბრალებდნენ. ბ-ნი ხომერიკი თავის კბილებს ქალაქის მიწებზე არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე ილესავდა და მათი კონფისკაციის კანონი მის შემოქმედების ქურაში კიდევაც გამოცხვარიც იყო. მხოლოდ მაშინ ხმები იყო საჭირო და ხალხს ჩვეულებრივად სიმართლე დაუმალეს".

ეს განცხადება თავიდან ბოლომდე მოჭორილია და „საქართველოს" სინიდისის საქმეა. სოციალდემოკრატიას ხალხისთვის არაფერი დაუმალავს, მან პირველმა ახსენა მიწაზე კერძო საკუთრების და ხარჯების ასანაზღაურებლათ ფასის გამორთმევა, თუმცა კარგათ იცოდა, რომ ფედერალისტები და ეს-ერები ქვეყანას გადაურევდნენ დემაგოგიით. არც ის არის მართალი, ვითომ ქალაქის მიწების კონფისკაცია იყოს განზრახული. ქალაქის ფარგლებში დიდძალი გლეხობა ცხოვრობს და სოფლურ მეურნეობას ეწევა. ასეთ გლეხებს ჩვენი კანონი არავითარ შემთხვევაში არ ჩააყენებს განსხვავებულ პირობებში სოფლის მცხოვრებლებთან შედარებით. ეს ვთქვით ჩვენ არჩევნების წინ და ამასვე ვამბობთ არჩევნების შემდეგაც. რაც შეეხება „საქართველოს" უკბილო დემაგოგიას: „არ არის გარანტია, რომ ხვალ სახლების კონფისკაციას არ დაიწყებენ, რომ ზეგ და მაზეგ ბანკების ნაციონალიზაციას არ გამოაცხადებენო" და სხვა.

მოვახსენებთ ამ დემაგოგებს, რომ ყოველ შემთხვევაში სოციალ-დემოკრატია არ გადადგამს ისეთ ნაბიჯს, რომლის თანახმა დემოკრატია, ხალხი არ იქნება.

* * *

ასეთივე სინდისიერ კამათს აწარმოებს ჩვენთან „საქართველო" სარწმუნოების საკითხის გამო. დაუგდეთ ყური:

„ერთობას" მაგე ერთმანეთისაგან ვერ არჩევს დემოკრატიზმს და იაკობინიზმს. ძველი პარლამენტის საშინელ ჰომეს, რომელთაც არც ღმერთი სწამდათ და არც ხატი, დაადგინეს ყველა სკოლიდან განდევნილიყო სამღვთო სჯული".

რას ნიშნავს ეს თავხედობა „საქართველოსი"? ნუ თუ პარლამენტი გადაგებული იყო ეჭმიების ხატი, რომ ამით ქართველ ხუზრების მხრით დემოკრატიის სახელწოდება მიიღო? „საქართველო" ფიქრობს, რომ „ეს ნიშნავდა ქრისტეს წესების და სარწმუნოების შორავლის ფაქტიურ გაბათილებას", ასეთი დასკვნის გამოყვანა გაზეთ „საქართველოს" სინიდისისათვის მივანდოთ, მაგრამ ჩვენ გვიკვირს, თუ რათ დასჭირდა გაზეთს შემდეგი თვალთმაქცობა:

„სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფა პრინციპულ დავას არ იწვევს. სინიდისის თავისუფლება ერთი რომელიმე რელიგიის სახელმწიფოებრივი რეგლამენტაციასთან შეუთავსებელია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ უზრდელობა ჩაიდინო ეკლესიის ან სარწმუნოების მიმართ".

თუ ეს თვალთმაქცობათ არაა, სად, რომელ ქვეყანაში ნახა „საქართველომ", რომ ეკლესია სახელმწიფოსაგან გამოყოფილია და იმავე დროს სკოლებში სამღვთო სჯულის სავალდებულო სწავლებაა?!

პროფესიონალურ კავშირთა ყრილობა

უხმაუროთ გაიხსნა პროფ. კავშირთა ყრილობა. გამოცხადდა თითქმის ყველა პროფ. კავშირის დელეგატები. არ მოვიდნენ მხოლოდ ბაქოელები. ყრილობას არ ესწრება ის ფართე საზოგადოება, რომლისათვისაც ყველა ასეთი ყრილობები მხოლოდ გასართობია. აქ ირჩევა ის მწვავე და მწარე საკითხები, რომლის ტალღაში ასე უმოწყალოთ იხრჩობა მუშათა კლასი. ასეთ კითხვებს შეუძლია დაინტერესოს მხოლოთ მუშათა კლასის მეგობრები, მისი ინტერესების მოსარჩლენი და ამიტომაც არის, რომ თეატრალური „პუბლიკა" ასე ნაკლებათ ესწრება ამ სერიოზულ ყრილობას.

პირველ სხდომაზე ყრილობა შეუდგა მოხსენების მოსმენას ადგილებიდან.

მოხსენებები მეტად საყურადღებო გამოდგა. აქ ჩვენ თვალწინ გადიშალა მუშათა კლასის ყოველდღიური ჭაპანწყვეტის მთელი სურათი. მიუხედავათ ათასგვარი დაბრკოლებისა, პროფ. კავშირები დიდ კულტურულ მუშაობას აწარმოებენ. აწყობენ კავშირებს, ახდენენ სტატისტიკურ გამოკვლევებს, აწესრიგებენ დამოკიდებულებას შრომისა და კაპიტალს შორის. ამრავლებენ მუშათა კლუბებს, აწყობენ სხვადასხვა კითხვებზე ლექციებს და რეფერატებს და ასე ხელს უწყობენ მუშათა კლასის გონებრივად და კულტურულად ამაღლებას.

ამ საყურადღებო მოხსენებებიდან ჩვენი ყურადღება მიიქცია განსაკუთრებით ორმა ადგილმა ერთი სამწუხარო, მეორე—სასიხარულო. სამწუხაროა ის, რომ მუშათა ზოგიერთ წრეებში ამ ბოლო დროს თურმე ემჩნევა ტენდენცია არსებული კავშირებიდან გამოთიშვის და ცალკე შეკავშირების ეროვნული პრინციპის მიხედვით. ეს ეხება თურმე სომეხ და რუს მუშებს.

შეგნებული მუშების მოვალეობაა ეს დამღუპველი ტენდენცია დასაწყისშივე ჩაკლან. მუშათა კლასის სიძლიერე ერთობლივ დამყარებულია მის სოლიდარობაზე, გაერთიანებაზე და შეკავშირებაზე. ყველა ის საკითხები, რომელიც იბადება მუშათა კლასის წიაღში, ერთნაირათ ეხება, როგორც რუს, ისე ქართველს და სომეხს. პროფესიონალური კავშირები—ეს არის ეკონომიური ბრძოლის ორგანოები და აქ არ შეიძლება იყოს ისეთი საკითხი, რომელსაც რამე კავშირი ქონდეს ეროვნებასთან. ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობაში ყველა ეროვნების მუშა თანაბრათაა დაინტერესებული. ეკონომიურ ბრძოლაში და ამ ბრძოლის ორგანოებში ნაციონალური ელემენტის შეტანა—პირდაპირ დამღუპველია მუშათა კლასისათვის და ყველა შეგნებული მუშის მოვალეობაა მთელი თავის ენერგიით შეებრძოლოს ასეთ ტენდენციებს.

სასიხარულო იყო ის, რომ როცა ბაქოს პროლეტარიატის ხელმძღვანელები გაალმასებული იბრძვიან ჩვენს წინააღმდეგ და დაჟინებით ურჩევდნენ იქაურ მუშებს მონაწილეობა არ მიეღოთ ამ ყრილობის მუშაობაში, მუშებს თითქმის ერთხმად მაინც გადაუწყვეტიათ მონაწილეობის მიღება და ჩვენს მუშებთან მჭიდრო კავშირის დაჭერა.

ვინ იცის, რას არ გვაბრალებენ ჩვენ ბაქოს ვითომდა ინტერნაციონალისტები! გამწარებული და გაფითრებული იბრძვიან ამდენი ხანია ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ, როგორც ეტყობა მათ ცილისწამებას და ავანტიურას ვერ შეურყევია ბაქოს პროლეტარიატის საღი აზროვნება, რომელიც წინააღმდეგ მათი რჩევისა, ერთხმად ადგენს ჩვენს მუშებთან კავშირის აღდგენა-გაძლიერებას. მუშათა კლასის საღი ინსტიქტი კარგათ გრძნობს, რომ ძალა ერთობაშია, რომ მუშათა ინტერესები ყოველგან ერთია, რომ მათ ერთი გზა აქვთ და რამდენაც არ უნდა ეცადონ ბაქოს ვითომდა სოციალისტები, ისინი ვერ შესძლებენ ამ სოლიდარობის და ერთობის დარღვევას და ამიერ-კავკასიის მუშათა კლასი გაერთიანებული და შეკავშირებული ყველა იმ კითხვების გარშემო, რომელიც ერთია ყველასათვის, მწყობრათ გასწევს იმ ბრწყინვალე მომავლისაკენ, რომელსაც ეწოდება სოციალიზმი.

გაბი.

ჩვენი იმპერიალისტები და „დიდი პოლონეთი"

გაზ. „ჰუმანიტე"-ში ზოგიერთი კითხვები ევროპის ნაციების, როგორც, მაგალითად, პოლონეთის შესახებ ყოფილი სოციალისტის და გულწრფელი დემოკრატის გულში იწვევენ მთელ რიგ სასახელო ისტორიულ მოგონებებს: ამ გმირული ნაციის მარტიროლოგი ასი წლის განმავლობაში, მისი განუწყვეტელი ბრძოლა დაკარგული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, მის დამონება რომანოვების, ჰოგენცოლერნების და გაბსბურგების ტირანის მიერ. ყველა ამან მთელი დასავლეთის ევროპის დემოკრატიაში [illegible] სიმპატიები მოუპოვა პოლონეთს. კერძოდ პარიზის პროლეტარიატმა განსაკუთრებული ენერგიით დაანახვა მას თავისი სიმპატია, თუნდაც 1840—1864 წლების პერიოდში, როდესაც ამის შესახებ დამფუძნებელი კრების წინაშე პროლეტარულმა ბატალიონებმა დემონსტრაციები გამართეს.

საჭიროა პოლონეთის ამ გმირული ბრძოლის გაცნობა იმ საუცხოვო წიგნით, რომელიც ბ. ედმონდ პრივამ გამოაქვეყნა ლონდონში და რომელსაც სახელად ჰქვია: „ევროპა და პოლონეთის ოდისეა მეცხრამეტე საუკუნეში". წიგნის 350 სტრიქონი იკითხება, როგორც რომანი და დიდის ინტერესით ეცნობი სამწუხარო ეტაპებს პოლონეთის ისტორიისა: სამივე გაყოფა, ვენის კონგრესი, 1830 წლის აჯანყება, ნიკოლოზ 1-ლის სასტიკი დევნა, 48 წლის რევოლუცია და ბოლოს 1863 წლის აჯანყება. თუმცა ევროპის ყველა დიდი რევოლუციონერები, მხოლოდ ერთი პრუდონის გამოკლებით, მეტისმეტი სიმპატიებით ეპყრობოდნენ პოლონეთს, თუმცა მუშათა საერთაშორისო ასოციაცია კარლ მარქსის მანიფესტში აიმედებდა პოლონეთს, რომ მუშები მას დაეხმარებიან, ამისდა მიუხედავად, როდესაც კოსციუშკომ გადასძახა ხალხს თავისი ტრაგიკული „Finis Polonie" ყველას ეგონა, რომ პოლონეთის საფლავზე საუკუნოდ დაიდო ლოდი.

სწორეთ იგონებ იმ საშინელ მოწოდებას მათი დიდი პოეტის მიცკევიჩისა, რომელიც ერთხელ [illegible] მოაგონა: „მსოფლიო ომი, ჩვენ გამათავისუფლებლად მოგვივლინე უფალო".

მსოფლიო ომიც მოვიდა. მან ნაფლეთებიდან აღადგინა პოლონეთი. მმართველმა ბურჟუაზიამ და რეაქციონურმა დიპლომატიამ ჩვენი ქვეყანისა, რომლებიც საუკუნის ერთ მეოთხედის განმავლობაში პოლონეთის ინტერესებს მსხვერპლათ სწირავდენ რუსეთის ცარიზმთან კავშირს, ეხლა მოულოდნელათ დაინახეს ისეთი პირობები, სადაც შესაძლებელია თავისუფლათ განახორციელონ თავიანთ კონტრრევოლიუციონური გეგმები. ამას წინად პალატაში ამხანაგმა ერნესტ ლაფონმა ჩვენ [illegible] გადაგვიშალა ის შეთანხმება, რომელიც მოხდა [illegible] (საფ. საგარ. საქმ. სამინისტრ.) და კონსერვატიულ, ანტისემიტურ დმოვსკის ჯგუფებთან. ამ საგნისავე შესახებ მოთავსებულია წერილი ამერიკის გაზეთ „ნიუ რეპუბლიკ"-ში. ამ პოლიტიკას ორი მიზანი აქვს: ვილსონის პოლიტიკას, რომელიც მოითხოვს ხალხთა კავშირის დაარსებას, უპირდაპირებენ ძველ პოლიტიკას „თანასწორობისას". აღმოსავლეთით გერმანიისკენ და მისივე წინააღმდეგ უნდა დაარსდეს ძლიერი პოლონეთის სახელმწიფო, რომელიც დაეყრდნობა ორ სლავიანურ სახელმწიფოს—ჩეხო-სლოვაკებს და სამხრეთ სლავებს და აგრეთვე რუმინიას. თუ შეუძლებელი იქნება მონარქიის აღდგენა, მაშინ შეურიგდებიან რესპუბლიკას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში რეაქციონურ ელემენტებს უფრო მეტი გავლენა ექნებათ. მეორე მხრით სოციალისტურ რესპუბლიკების წინააღმდეგ, როგორიც არის რუსეთი, გერმანია, ავსტრია და უნგრეთი, სურთ დაარსონ კათოლიკურ-ბურჟუაზიული, სამხედრო და ნაციონალისტური ცენტრი. ჰფიქრობენ, რომ ხელსაყრელი იქნება ასეთი ცენტრი იყოს ვარშავაში ვიდრე პრაგაში და ბელგრადში. „ნიუ რეპუბლიკ" დაუფარავათ აშკარავებს ჩვენი დიპლომატიის პროექტს, რომლებმაც, ვით ბურბონებმა „ვერაფერი შეისწავლეს და არაფერიც არ დაივიწყეს".

ეთნოგრაფიულ პოლონეთში 20 მილ. მცხოვრებლებია, რომლებიდანაც 8 მილიონი ებრაელია. ტოლმუდკიმ და დაშინსკიმ ეს ციფრი გაადიდეს 28,000,000, რადგანაც პოლონეთს მიაკუთვნეს ლიტვის, უკრაინის და გერმანელების ოლქებიც. მოქ. რომან დმოვსკის „უფრო დიდი განზრახვები აქვს. ისინი, რასაკვირველია, აღადგენენ პოლონეთს „განუყოფელს". ეს მისცემს მათ 37—40 მილ. სულს, მაგრამ ეს 1772 წლის პოლონეთი წარმოადგენდა „კონგლომერატს ხალხების", ავსტრია და ვენგრიასთან შედარებით, რომელი სახელმწიფოებიც ერთი მოდგმის ხალხებისაგან შესდგებოდა. მათ ანგარიშში ჩასთვლიან ველიკორუსეთისა, უკრაინის, პრუსიის, ბელორუსეთის, ლიტვის ტერიტორიის ნაწილები და თითქოს ესეც არ იყოს მათთვის საკმარისი და დმოვსკის სურს პოლონეთის იმპერია დაუკავშიროს ფინეთის, ესტონის, ლიტვის და აგრეთვე შვეციის და დანიის სახელმწიფოებს, სურს დაარსოს კავშირი ეგრედ წოდებული „ბალტიის ლიგის", რომელიც პირის პირ დაუდგება რუსეთს და გერმანიას.

აი ის სულელური პროექტები პოლონეთის იმპერიალიზმის, რომელიც შემუშავებულია ჩვენი დიპლომატების მიერ. აი რას უპირდაპირებენ ვილსონის პროგრამას, რომელსაც სურს შექმნას ხალხთა კავშირი. მაგრამ ვიტყვით რა „რესპუბლიკის" სიტყვით: რომელიც აღნიშნავს, რომ „როგორ იცნობს საფრანგეთის დიპლომატია გერმანიის დემოკრატიას, როდესაც არ სცნობს გერმანიის რევოლუციას. „ის ჰფიქრობს, სწერს თანამედროვე დემოკრატიული ორგანიზაცია, რომ ისევ ლაპარაკობდეს გერმანიის საფრთხეზე, როცა ეს საფრთხე აღარ არსებობს. საფრანგეთის გულუხვობას და კეთილშობილ პოლიტიკას შეეძლო ეს ორი ერი სამუდამოთ შეერიგებინა".

ალბათ „იანკები" არაფერს ამბობენ და ურჩევენ „დიდ პოლიტიკაში". და თუმცა წარსულ ზაფხულში მათ გვიხსნეს გერმანიის იმპერიალიზმისაგან, მაგრამ მათ მალე ბრალს სდებდენ იმაში, რომ ისინი მეტი არაა არიან რა, გარდა ჩვეულებრივი „მეგობრები მტრისა". ეს არ უშლის ზოგიერთ ინგლისელებს და ფრანგებს გაიზიარონ ეს აზრი ამერიკელებისა, მაგრამ ამათ ხმა ხმა არა აქვთ".

ჟან ლონგე.

ბაქო თუ თფილისი

ბაქოში პროფესიონალური კავშირების კონფერენციაზე კამათი გაიმართა იმის შესახებ, თუ სად განაგრძოს კონფერენციამ მუშაობა—დარჩეს ბაქოში თუ წავიდეს თფილისში და შეუერთდეს იქაურ ყრილობას.

„სრულიად გაერთიანებისთვის" კომუნისტები მომხრენი არიან თფილისში წასვლის.

კოველი კითხვას იძლევა: იქნება კი თავისუფალი სიტყვა ნება დართული თფილისში, პიროვნების ხელშეუხებლობა უზრუნველყოფილი? ქართველმა სოც.-დემ. გათიშეს პროლეტარული ფრონტი. ამიტომ მათ შერჩეს „პროლეტარიატის მოღალატეთა" სახელი.

ხუმიონოვის აზრით მთლიანი პროლეტარიატის ფრონტის შესანარჩუნებლად საჭიროა თფილისში წასვლა. ეს შთაბერავს საღ ინტერნაციონალურ სულს ნაციონალიზმით და შოვინიზმით მოწამლულ ატმოსფერაში.

მირზაზიანის თქმით კომუნისტები პირისპირ უნდა შეხვდნენ ქართველ პროლეტარიატს და გაანთავისუფლონ ნაციონალისტური „უკარისაგან".

პარუმოვი წინააღმდეგია თფილისში წასვლის, ვინაიდან იქ შეიძლება კაცი ჩაიჭიროს წვრილ ბურჟუაზიულ მისწრაფებებში. ამას გარდა, ქართველები კარგათ დაგეშილნი არიან წარმომადგენლობის გაყალბების საქმეში. დელეგატებს მოიწვევენ ოზურგეთიდან და სხვა ადგილებიდან, ბაქოელები უმცირესობაში დარჩებიან.

როხლინი წინააღმდეგია თფილისში წასვლის. იქ ლაპარაკი იქნება ქართულ ენაზე, როგორც ეს იყო სოც.-დემ. ყრილობაზე, სადაც ჩვენ, როგორც სულელი ისე ვიყავით.

არშაკ ზურაბოვი პრინციპიალურად [illegible] „ოპორტუნიზმის" ქვეყანაში (თფილისში) წასვლის, სადაც პოლიტიკაზე [illegible] ხმაც არ ისმის.

ვიდუნის აზრით საქართველო ეს

დღეს

ბათუმ ნატანების რკინის გზის ლიანდაგი ჩვენმა მთავრობამ ჩაიბარა და ამ დღეებში დაიწყება მატარებლების პირდაპირი მიმოსვლა თფილისს ბათუმს შუა.

პროფესიონალურ კავშირთა შეერთებულ სხდომაზე მოსკოვში ლენინმა განაცხადა: ჩვენ იძულებულნი ვართ ვმართოთ ქვეყანა მოუმზადებელი და უდიერი ელემენტების დახმარებით, მაგრამ ეს ნაკლი არ შეიძლება პირველ რიგში იქნას დაყენებული.

ხალხთა ლიგას მუდმივი ბინა ჟენევაში ექნება.

ბოლშევიკების ცნობით ბახჩისარაი და იალტა საბჭოთა ჯარებმა დაიკავა. ოდესაში სიწყნარეა.

გერმანული პრესის ცნობით პეტროგრადში აპრილის დასაწყისში აჯანყება მოხდა. აჯანყების მიზეზი გამოურკვეველია.

ბრაუნშვეიგში და აუსბურგში გაფიცვებია. პროლეტარიატი იარაღდება.

ბავარიაში საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ მოძრაობა იზრდება. გერმანული პრესის აზრით ამ მოძრაობას შეიძლება შედეგად ძველი რეჟიმის აღდგენა მოყვეს.

საფრანგეთიდან რამდენიმე კომისია გაიგზავნა მცირე აზიაში. კომისიებმა უნდა ურჩიონ მაჰმადიანებს მეგობრულად იცხოვრონ ბერძნებთან, სომხებთან და სხვა ერებთან.

ვაგონ-რესტორანია, ბაქო კი მუშათა თვალსაჩინო ცენტრია.

შტერინგ (ს.-რ.) სწამს, რომ თფილისის პროლეტარიატში გაიღვიძებს კლასიური თვითშეგნება, ამიტომ ის მოეწონა წასვლის, რომ ხელი შეუწყოს ამ პროცესს.

ანაშკინი აღნიშნავს მოსალოდნელ ომს საქართველოსა და აზერბეიჯანს შორის. ლაპარაკობს იმ სიძულვილზე, რომელიც არსებობს საქართველოში საბჭოთა მთავრობის იდეის შესახებ და წინადადებას იძლევა წავიდნენ თფილისში და პროპაგანდა გასწიონ.

რეზრუხის აზრით ბაქოელებს თფილისში დახვრეტენ, დაარბევენ, დაპატიმრებენ და სხ. წინადადებას იძლევა ხელი ჰკრან ქართველ „სოც. ბურჟუებს“ და შეუერთდნენ ჩრდილო კავკასიას.

ლიხოვკის აზრით დემონსტრაციისთვის არ ღირს თფილისში წასვლა.

ჰობოვა დ. ფარცუოფს რეზრუხის ნათქვამს და დასძენს—არავითარ რეპრესიებს ადგილი არ ექნება. არც იმდენათ სუსტადაა იქაური მთავრობა, რომ აგრე მოიქცეს.

ჩვენ რამდენიმე სხდომის ანგარიში წავიკითხეთ ამ კონფერენციის მუშაობის. მეტი ნაწილი ამ ანგარიშებში შეიცავს სწორედ ასეთ ადგილებს. ბოლშევიკი, ესერი, რუსეთელი მენშევიკი, დაშნაკელი, პეპინოვის გვარი მუსლიმანი სოციალისტებიც კი ერთის ენით ლაპარაკობენ. ჩვენმა მკითხველებმა კარგათ იციან თუ რას შეიცავს ეს „ენა“ და ამიტომ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

უკანასკნელი ცნობები

ბათუმი. ბათუმიდან ახლადა ჩამოსულმა გადმოგვცა შემდეგი: პროფესიონალურ კავშირთა მეთაურობით მოხდარი მუშათა გაფიცვა გამარჯვებით დასრულდა... 12 აპრილს შუადღისას ოდესიდან მოვიდა გემი, რომელიც გამოქცევია ბოლშევიკებს. გემზე ქართველებიც არის. ჩვენმა მთავრობამ რკინის გზა ბათუმამდე უკვე ჩაიბარა.

მუშათა წერილები

მუშების დღევანდელი ვითარება.

I

ეკონომიური ცხოვრების არევ-დარევამ სხვა ქვეყნის მუშებთან ერთად ჩვენი ქვეყნის მუშებიც ნივთიერად ცუდ პირობებში ჩააყენა.

წარმოებაში ჩაბმული მუშები ხრონიკულ გაჭირვებას განიცდიან და მათი მდგომარეობა უნუგეშოა.

წარმოების ირგვლივ კი თანდათან იზრდება უმუშევართა ლაშქარი, რომელიც დაფიქრებას იწვევს შეგნებულ მუშათა შორის.

უმუშევრობის გაზრდა აიხსნება ომის შედეგებით, სამრეწველო ცხოვრების განვითარების შეჩერებით, ვაჭრობა-აღორძინების მოლოდინებით.

ჩვენი ქვეყნის წინაშე სხვა საჭირ-ბოროტო საკითხებთან ერთად ეს კითხვაც ისმება დღის წესრიგში.

ეკონომიურათ ჩამორჩენილი მხარეში, სადაც კაპიტალისტური წარმოება ჯერ კიდევ ახალ ფეხადგმულია, თავისთავად ცხადია ამ კითხვის მოწესრიგება მეტად ძნელი ხდება.

მომავალი ჩვენ ქვეყანას კარგი აქვს. მისი მდიდარი ბუნება იძლევა იმედს, რომ აღორძინება ჩვენი ქვეყნის აუცილებელია. მაგრამ ეს მომავალია. აწმყო კი მეტად დახლართულია.

რკინის გზებზე მოძრაობის შემცირებამ, სამთამადნო-სამრეწველო დარგებში გამოწვეულმა კრიზისმა, მარგანეცისათვის მაღაროებში მუშაობის შეჩერებამ—რამოდენიმე ათასი მუშა ქუჩაში უსაქმოთ გაისტუმრა. ამას ზედ დაერთო ომის გათავების გამო დიდ ძალი ჯარისკაცების განთავისუფლება, ტყვეების სამშობლოში დაბრუნება; განაპირა მხარეებიდან; უკრაინიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან, ტრანსკასპიის კუთხეებიდან, ბაქოდან და სხვებიდან. შექმნილ პირობების გამო ჩვენ დაგვიბრუნდა აგრეთვე მრავალი მუშები, ინტელიგენტები და ეს ახალი სარეზერვო არმია მოითხოვს სამუშაოს, დაკმაყოფილებას, და ამ კრიზისების დროს მათი დაკმაყოფილება ძალზე სჭირს.

წარმოებაში ჩაბმულ მუშებს, მცირე ხელფასი ეკონომიურ გაფიცვებისაკენ ბუნებრივათ მიაქანებს.

წარმოების ირგვლივ თავმოყრილი უმუშევართა არმია ძირითად მოვლენების ახსნას გაურბის და იგი პოლიტიკურ ანარქიზმში ეძებს ხსნას.

მართლაც, მუშის ხელფასი ცხოვრების საარაკო გაძვირებას ვეღარ უთანხმდება, მარტო პურს ვეღარ აძლევს. მუშის თანამედროვე მდგომარეობა აიძულებს ნიადაგს უკმაყოფილებისთვის და ერთი შეხედვით გაფიცვები ნორმალურ მოვლენათ ეჩვენება საზოგადოების ერთ ნაწილს.

მართალია, კერძო კაპიტალისტთა დაწესებულებებში მუშათა მოთხოვნილებანი პირველ ხანებში დაკმაყოფილებულ იქნა. მაგრამ ბაზარზე ნაწარმოებთა ფასმა ერთი ათად აიწია. თუ წარმოებაში შრომის ღირებულება არ იქნება, თუ შრომას ნაყოფი არ მოაქვს, მუშების მუშაობა შესაფერ კალაპოტში არ არის მოქცეული, უეჭველია ორში ერთი მოხდება. კაპიტალისტი-მრეწველი თავის კაპიტალის ასანაზღაურებლათ, ქარხანაში დაკარგულ ღირებულებას ბაზარზე აიღებს იმავე მუშა მომხმარებელთა ზურგიდან; ან წარმოებას შეაჩერებს ან ქარხანას დაკეტავს. ომიანობისა და ანარქიების დროს კაპიტალისტი პირველ გზას ადგება, ხოლო მშვიდობიანობის დროს—მეორეს. თუ მუშათა მოთხოვნილება წარმოების განვითარების კანონს ადემატება, მაშინ, თავისთავად ცხადია, წარმოება სავსებით იხურება, საწარმოვო ძალთა განვითარება ჩერდება, ეკონომიურ ცხოვრებაში დროებითი რეაქცია იწყება. გაფიცვები იმ დროს, თუ ის არ არის ეკონომიურ განვითარებასთან მიზან-შეწონილი, თუ ის შედეგი არ არის ეკონომიური ზრდა მოთხოვნილებებისა და გამომდინარეობს მხოლოდ ფსიხოლოგიურ განცდიდან, უეჭველია, გამარჯვების მაგიერ დამარცხდებიან.

დღეს ჩვენს ქვეყანაში ორგვარი წესია გაბატონებული წარმოებაში. წარმოების სათავეში ორი ბატონია, კერძო ინიციატივა და სახელმწიფოებრივი. რკინის გზა, ქვანახშირის მაღაროები, ზოგიერთი წარმოების დარგები სახელმწიფოს ხელშია, ეს არის მრეწველობის ნაციონალიზაცია.

ერთი ნაწილი მუშებისა სახელმწიფოს ეკუთვნის. სახელმწიფო ახალ ფეხ ამდგარი დემოკრატიული მუშების ხაზინაა.

რკინის გზის, მაღაროს და სხვა დარგის მუშები ნივთიერად ცუდ პირობებშია. თავის დროზე ჯამაგირს ვერ იღებენ და სხვ.

სახელმწიფოს მაღარო, რკინის გზა ნაცვლად მოგებისა ზარალიანებს, დეფიციტს აძლევს. სახელმწიფო სესხს იღებს „ბონების“ სახით, მოთხოვნილებას ისტუმრებს, ეს კი სცემს ფულის კურს, აძლიერებს კრიზისს, გაჭირვებას.

მუშების მოთხოვნილება, რომ მათი ნივთიერი მდგომარეობა გაუმჯობესდეს კანონიერია, სამართლიანია...

წარმოება კი, რომელსაც ისინი ეკუთვნიან მათ ვერ აკმაყოფილებს, ზარალშია. სახელმწიფო ხაზინის როლშია დაქმისი მდგომარეობა გამოურკვეველია.

რომ სახელმწიფო წარმოებაში ჩაბმულმა მუშებმა გაფიცვა გამოაცხადონ, ნივთიერათ მიზანს ვერ მიაღწევენ, რადგანაც არ შეიძლება იმის მიცემა, რაც არ არის. პოლიტიკურათ კი სახელმწიფოს ომს გამოუცხადებენ და ორში ერთი მოხდება: ან ანარქია წალეკავს იმას, რაც ძვირფასია თვით მუშათა კლასისათვის; ან სხვა ვინმე დაეპატრონება სახელმწიფოს წარმოებას და ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების მაგიერ უფლებრივ უუფლებობასაც მიიღებს. ეს მუდამ უნდა ახსოვდეს მუშებს.

ანანია.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

14 აპრილი

საზღვარგარეთის ცნობები.

მოსკოვი აპრ. 12. №-ის არმიის შტაბი. უკრაინის საბჭოთა ჯარმა ბახჩისარაისკი და იალტა აიღო. **ჯანკოი** აპრ. 11. საბჭოთა მთავრობის ყირიმის ჯარმა სიმფეროპოლი ჯანკოის დაჭერის შემდეგ ყველა მიმართულებით შეუტია მტერს და სდევნის მას. მოწინააღმდეგეს მთავარი ძალები ფეოდოსიისკენ იხევს. **კოპენჰაგენი.** აპრილის 9. დანიის სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა გაფიცვა თანდათან იზრდება. მეზღვაურებმა გადაწყვიტეს არაფერი დაუთმონ მთავრობას. **სტოკგოლმი.** აპრილის 9. ვენაში მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოს სხდომამ გამოიტანა რეზოლუცია ავსტრიის მეზღვაურთა ძალა უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავათ გამოიყენონ. **ვარშავა** აპრ. 8. მინისტრთა საბჭომ დაადგინა პოლონეთში სამხედრო წესები გამოაცხადონ. ეს გადაწყვეტილება აგრარულ ნიადაგზე არეულობამ და ლიუბლინის და დომბროვსკის რაიონში გაფიცვამ გამოიწვია. **მოსკოვი,** აპრ. 12. სრულიად რუსეთის პროფესიონალური კავშირების შეერთებულ სხდომაზე ლენინმა სთქვა: „აუცილებელია ერთხელ და სამუდამოთ გათავდეს სამოქალაქო ომი. მთელი ჩვენი ძალა სამხრეთისაკენ უნდა (დამახინჯებულია...) ჩვენ კარგათ ვიცით, რომ იძულებული ვართ ვმართოთ ქვეყანა მოუმზადებელი და უდიერ ელემენტების დახმარებით, მაგრამ შეიძლება განა პირველ რიგში დავაყენოთ ეს ნაკლი? ეხლა ამაზე ლაპარაკი, ვის ემსახურონ. კონტრ-რევოლუციას—კოლჩაკის სახით, თუ მუშათა საქმეს საბჭოთა მთავრობის სახით. შუა ადგილი არ არსებობს. **სამხედრო ცნობა.** ჩვენ დავიჭირეთ სად. ავდეევკა და სოფ. ილოვაისკა. მიდროვის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს და დაიჭირა სადგურები: კამენსკაია, პიპოვკა და კასინოვი. სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა მოწინააღმდეგეს სძლია. გადავიდა მდ. სევერნი დონეცზე კალიტვინის რაიონში და დაიჭირა სად. რუბინაია და მის ახლო-მახლო სოფლები. ველიკოკნიაჟის მიმართულებით: მტრის დიდმა ძალებმა იერიში მიიტანეს მდ. სილოვან ზოლოტარევსკაიაზე, მაგრამ ჩვენმა ჯარმა კონტრ-იერიშით მტერი ბალოსლავისაკენ უკუ აგდო. ყაზანის მიმართულებით: ჩვენ დავიჭირეთ სერებრიაკოვსკაიის ნავთსადგური. **მოსკოვი.** 13 აპრილი. პეტროგრადის საბჭოს პროფესიონალური კავშირის არაჩვეულებრივ სხდომაზე, რომელიც 12 აპრილს მოიწვიეს აღმოსავლეთის ფრონტზე მომხდარ ამბების შემდეგ, მენშევიკების წარმომადგენელმა კამენსკიმ წინადადება მისცა საბჭოთა მთავრობას ხელი გაუწოდოს პროლეტარიატის სადძალას, თუნდ არა ბოლშევიკებს. „ჩვენ, ბრძოლის ამ მომენტში,—ამბობდა კამენსკი,—არ გვინდა დავრჩეთ ნეიტრალურათ, მაგრამ ეს თქვენზეა დამოკიდებული. თქვენ უნდა შექმნათ ერთი სოციალისტური ფრონტი“. თავმჯდომარემ ეკეტკოვიჩმა სთქვა: „თუ მენშევიკები აღიარებენ კოლჩაკთან ბრძოლას, შეგვიძლია მივესალმოთ მათ. მიიღეს ეკეტკოვიჩის რეზოლუცია მუშათა ბატალიონის დაარსების შესახებ. **ნოვო-ალექსანდროვკა,** 2 აპრ. მოსული ცნობების თანახმად, სევასტოპოლში ძალაუფლება მუშათა და გლეხთა დეპუტატების ხელში გადავიდა. **ლონდონი,** აპრილის 12. კომისია, რომელიც დანიშნულია ხალხთა ლიგის პროექტის შესამუშავებლად, ასე სწყვეტს საარის მაღაროების საკითხს: ფრანგები მიიღებენ მაღაროებიდან იმდენ ნახშირს, რამდენსაც მისცემდა მათ გერმანელების მიერ განადგურებული საკუთარი მაღაროები. როგორც სჩანს, ეს მოასწავებს მას, რომ ფრანგები მაღაროებით ისარგებლებენ 15 წლის განმავლობაში. პოლიტიკურათ საარის ოლქი ხალხთა ლიგას დაექვემდებარება. საარის ოლქში მოახდენენ პლებისციტს, რომელიც გამოარკვევს ვისი იქნება ეს ოლქი. **ოდესა.** აპრ. 10. ქალაქში სრული სიწყნარეა. მაღაზიები გაღებულია.

ინგლისური პრესის ცნობები.

ჯერ კიდევ არსებობს მწვავე უთანხმოება ერთის მხრივ ინგლის-საფრანგეთისა და მეორეს მხრივ ამერიკელთა შორის. ომის პასუხისმგებლობის, დამნაშავეთა გაცემის და კაიზერის გასამართლების საკითხებში. შეერთებული შტატები იმ აზრისაა, რომ კაიზერს, როგორც მონარქს, ომის გამოცხადების უფლება ჰქონდა და არ შეიძლება მისი სამართალში მიცემა იმისთვის, რომ 1914 წელს მთელი ქვეყანა ომში ჩაითრია. მაგრამ ამერიკის წარმომადგენლები ეთანხმებიან ფრანგ-ინგლისელებს.

ხალხთა ლიგის კომისიამ მოიწონა გადაწყვეტილება, რომ ლიგა მუდმივათ ჟენევაში იმყოფებოდეს.

ბავარიიდან მოსული უკანასკნელი დეპეშები მოწმობენ, რომ გლეხების ოპოზიციას საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ შესაძლებელია ძველი რეჟიმის აღდგენა მოყვეს.

„პტი პარიზიენ“-ის სპეციალური კორესპონდენტი იუწყება, რომ რამდენიმე კომისია გაიგზავნა მცირე აზიაში, ბრუსაში და ანგორაში, რათა სიწყნარე ჩამოაგდონ, მაჰმადიანებს ნდობა ჩაუნერგონ, ურჩიონ მათ მეგობრულად მოეპყრან ბერძნებს, სომხებს და ეცადონ, რომ მაჰმადიანებმა მიიღონ ლიბერალური კაბინეტის მშვიდობიანი პოლიტიკა.

გერმანული პრესის ცნობები.

სოციალიზაციის კომისიამ, რომელიც რამოდენიმე ხნის წინათ დანიშნა მთავრობამ და რომელიც იხილავს წინადადებებს სხვადასხვა დარგის სოციალიზაციის შესახებ, შესწყვიტა მუშაობა. მიზეზია უთანხმოება მთავრობასთან ეკონომიურ საკითხებში.

რევოლუციონერმა მუშებმა ბრაუნშვეიგში ოთხშაბათს დილით დაიწყეს საერთო გაფიცვა და ბრძოლა გამოუცხადეს კაპიტალიზმს და მილიტარიზმს. რკინის გზაზე მოძრაობა სრულიად შესწყდა.

ვეიმარის მთავრობას აქვს ცნობები, რომ მიუნხენის საბჭოთა მთავრობას არ აქვს მტკიცე ნიადაგი და მხარეში იწყება კონტრ-მოძრაობა.

აუგსბურგში იარაღდება პროლეტარიატი. დაპატიმრეს რამოდენიმე თვალსაჩინო პირი და აფიცრები.

ჰოლანდიის „ნიუს-ბიურო“ იუწყება, გერმანიას არ შეუძლია შეასრულოს ვალდებულება, რომელიც ეხება ჰალერის ჯარის გადაყვანას, რადგან გერმანიის რკინის გზის მოსამსახურენი გაფიცვით იმუქრებიან. ეს ცნობა ყალბია. გერმანიის მთავრობას აქვს შეძლება გადმოიყვანოს ჯარი და აასრულოს სპაში დადებული ხელშეკრულება.

ვეიმარში ეროვნულ ყრილობის ხუთშაბათის სხდომაზე მინისტრ-პრეზიდენტმა შეიდემანმა სთქვა: მთავრობამ მტკიცეთ გადასწყვიტა შეასრულოს ყველა ვალდებულება, რომელიც მიიღო გერმანიამ. ლოიალობა ხელშეკრულების მიმართ უნდა იყოს ახალი გერმანიის კრიტერიუმი. მეორე, ჩვენ ლოიალური უნდა ვიყვეთ თავის თავისადმი: ამას გვაიძულებს ჩვენ გერმანიის ინტერესების შენარჩუნება, ურომლისოთ წარმოუდგენელია პოლიტიკური და ნაციონალური არსებობა.

ბამბერგში მყოფი ბავარიის მინისტრ-პრეზიდენტი გოფმანი უიმედოთ არ უყურებს ბავარიის მდგომარეობას. ვიურცბურგში წესიერების აღდგენა, მისი აზრით, ბავარიაში მდგომარეობას შეცვლის.

როგორც უტყუარ ცნობებიდან სჩანს, ბავარიაში კომუნისტური მოძრაობა ხდებოდა რუსის ფულის დახმარებით, რომელიც შვეციიდან მოვიდა.

ფინური ტელეგრამების ცნობით აპრილის დასაწყისში პეტერბურგში ახალი აჯანყებები მოხდა. იხმარეს დიდი ქვემეხები, რომელთაც ცეცხლი გამოიწვია. პეტროგრადში პანიკაა. მრავალი მცხოვრები წავიდა. აჯანყების მიზეზი ჯერ არ იციან. ცნობილია, რომ იყო ცდა აეფეთქებინათ წყალსადენი და სხვა დაწესებულებები, რომელთაც საზოგადო მნიშვნელობა აქვს. სხვა ხმების თანახმად, რომელიც ფინლანდიიდან მოდის, ფინეთ-რუსეთის საზღვარზე ბრძოლა იყო. ამის გამო ჰელსინგფორსის გაზეთები გამოსთქვამენ შიშს, რომ ქვეყანა ომში იქნება ჩათრეული, მიუხედავათ იმისა, რომ არავითარი ამის სურვილი არ არის.

შტუტგარტში კვლავ აღდგინეს წესრიგი და სიწყნარე. მუშაობა ყველგან განახლდა. ფოსტა და რკინის გზამ მუშაობა დაიწყო, ისე რომ მოკლე ხანში საალყო წესების მოხსნას უნდა მოველოდეთ.

რუმინიის ცნობები.

რუმინიის სააგენტოს დეპეშით აუწყებენ, რომ მურმანზე მოკავშირეთა ჯარი ცუდ მდგომარეობაშია. სურსათით დახმარება აუცილებელია. ამერიკული რაზმები მურმანისაკენ მიემართებიან. ინგლისის ჯარიც ამ მაგალითს მიყვება. ბოლშევიკები, ცხადია, სცდილობენ მოკავშირენი ზღვასთან შეავიწროვონ. ვიდრე გაყინული ზღვა აძნელებს მოკავშირეთა მისვლა-მოსვლას, მოწინააღმდეგეს უპირატესობა აქვს. მოკავშირეთა ჯარი იძულებული გახდება განიცადოს მძიმე დრო. აუცილებელია სწრაფი დახმარება.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პარტიის თფილისის კომიტეტის სხდომა.

◆ **მეხუთე ჯავახეთის დამხმარე კომიტეტში.** 13 აპრილს შესდგა მეხუთე ჯავახეთის დამხმარე კომიტეტის კრება. ვინაიდან დროს უქონლობის გამო პრეზიდიუმის ზოგიერთ წევრებმა უარი განაცხადეს, მოხდა პრეზიდიუმის ხელახალი არჩევნები: აირჩიეს თავმჯდომარეთ: გრ. გიორგაძე, მის ამხანაგებათ ქ-ნი ქავთარაძისა და პ. სურგულაძე, ხაზინადრათ ქ-ნი კვინიტაძისა და მდივნათ ლ. რუხაძე. კომიტეტმა დაადგინა რამოდენიმე დღეში ფუფულ მოახერხოს სათესლე ხორბლის ნაწილის გაგზავნა მაინც ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში, ხოლო დახმარების გადაგზავნა, რომ არ დაბრკოლდეს, ამისათვის ბორჯომში ადგილობრივ ორგანიზაციების დახმარებით დაარსოს გადასაგზავნი პუნქტები.

◆ **შრომის ხაზინიდან** აცხადებს, რომ თანახმად მთავრობის დადგენილებისა, ის მოსამსახურეები, რომლებიც შტატის შემცირების ან სამსახურის ლიკვიდაციის გამო დათხოვნილი იქნებიან, ანგარიშს მიიღებენ შემდეგი წესით: მოხელეები, რომლებიც მსახურებდნენ დაწესებულებებში 1918 წ. 26 მაისამდე სალიკვიდაციო ფულის მაგიერათ მიიღებენ საკრედიტო მოწმობას რუსეთის ხაზინის სახელზე. რადგანაც 1918 წ. 26 მაისამდე სამსახური ითვლებოდა რუსეთის სახელმწიფოს სამსახურათ. ვინც მსახურობდა საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებში, სალიკვიდაციოს მიიღებს ნაღდ ფულად, თანახმად 5 ივლისის მე-2 მუხლის კანონის.

◆ **საქართველოს მოქალაქეობის (ქვეშევრდომობის) დამატებითი კანონ-პროექტი.** დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიაში შემოვიდა შემდეგი კანონ-პროექტი: 1. იმ მკვიდრთა გარდა, რომელნიც მოხსენებულნი არიან საქართველოს ეროვნულ საბჭოს 1918 წლის 16 ივლისის კანონში, საქართველოს მოქალაქეებად (ქვეშევრდომებად) აღიარებულ იქმნენ: ა) ყოფილი რუსეთის იმპერიის ყველა ქვეშევრდომი ქართველი, სადაც და რამდენ ხანსაც უნდა სცხოვრობდეს, უკეთუ ის ექვსი თვის განმავლობაში ამ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ უარს არ განაცხადებს საქართველოს მოქალაქეობაზე. ბ) ყოფილ რუსეთის იმპერიის ყოველი არა ქართველი, რომელიც განუწყვეტლივ ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე არა ნაკლებ 5 წლისა 1914 წლის 19 ივლისამდე, უკეთუ ამ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ სამი თვის განმავლობაში ის განაცხადებს, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობა. შენიშვნა: განცხადება და საქართველოს ტერიტორიაზე ხანგრძლივობის დამამტკიცებელი საბუთი წარედგინება საოლქო სასამართლოს ადმინისტრატიულ განყოფილებას, რომელიც მოთხოვნილს აძლევს მოქალაქეობის უფლებას, თუ იგი აკმაყოფილებს ამავე მუხლში აღნიშნულ მოთხოვნილებებს.

◆ **ბათუმ-ნატანების რკინის გზა.** დაბრუნდა თფილისში კომისია, რომელიც გაგზავნილი იყო მთავრობისაგან ნატანებ-ბათუმის შუა რკინის გზის ჩასაბარებლად. კომისიამ იქონია თათბირი მთავრობის წარმომადგენელთან, რომელსაც გადასცეს დაწვრილებით ხელშეკრულების მუხლები. ამ დღეებში დაიწყება პირდაპირი მიმოსვლა თფილის-ბათუმს შუა.

◆ **მასწავლებელთა ჯამაგირები.** განათლების მინისტრმა გაუგზავნა ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორს საჭირო თანხა, სახალხო სკოლების მასწავლებელთა ჯამაგირებით დასაკმაყოფილებლად.

◆ **თფილისის კონსერვატორიის პროფესორთა კოლეგიამ,** ოცდა ხუთის წლის სამუსიკო პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობისათვის პროფესორის ხარისხი უბოძა კონსერვატორიის ინსპექტორს ზაქარია ფალიაშვილს.

◆ **საზოგადო კრება.** დღეს, საღამოს 6 საათზე, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ამავე თეატრის და სცენის მოყვარეთა წრის წევრთა საზოგადო კრება. დღის წესრიგს შეადგენს ნაძალადევის თეატრის და სცენის მოყვარეთა წრის წევრთა საზოგადოების ლიკვიდაცია. კრება მეორეთ ინიშნება და კანონიერათ ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

◆ **ლტოლვილების დაბრუნება ყარსში.** უკანასკნელ დროს რუსთა ნაციონალურ საბჭომ საქართველოში გაგზავნა ყარსში ორი წყება ლტოლვილებისა. ერთი—806 კაცი, მეორე—845.

◆ **დაჭრილ და დავადებულ მხედართათვის.** ქართველ ვაჭარ-მრეწველთა შორის ომისათვის ფულის შემკრებმა კომიტეტმა შეგროვილ ფულიდან ფინანსთა მინისტრს გადასცა ჯერ-ჯერობით 800,000 მანეთი, რომელიც უნდა მოხმარდეს დაჭრილ-დასნეულ და დავადებულ მეომრებს. ფულის შეგროვება გრძელდება.

◆ **ჟურნალი „თეატრი და მუსიკა“** № 30 გამოვიდა და იყიდება საჩაიე „ძმურ ნუგეშ“-ში და სახელმწიფო თეატრში. ფასი 1 თუმანი.

ლექცია. დღეს, საღამოს 6 საათზე სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები: 1 განყოფილებაში (ნაძალადევი). 1) ექ. ტურიაშვილისა „გიგიენა“. 2) ექ. მაისურაძისა „ანატომია“) მეორე განყოფილება (ორთაჭალა) 1) ე. ლეშიბაძისა „ელექტრობა და ორთქლის ძალა“. 2) გრ. ნათაძე „საქართველოს სახელმწიფოს წარმოშობა“. 3) ვლ. ბაქრაძე „სახელმწიფოს უფლება“. მესამე განყოფილებაში (ერთობის უბანი). 1) ალ. ქორქელიანი „ფსიხოლოგია“. 2) კ. ქავთარაძე „ისტორია“. 3 ექ. ტურიაშვილი „გიგიენა“.

◆ **გაზეთების შეწყვეტა.** რადგანაც ფულს არ გვიგზავნიან, ხვალ უკანასკნელათ გაიგზავნება გაზეთები ოზურგეთში და ხიდისთავში. საჭიროა აგენტები: ბაქოში, გორში, სამტრედიაში, ხაშურში, სურამში და ბორჯომში. კანტორა „განათლება“.

— სამტრედიიდან ანდრ. ქორდანიას ცხედარი გააცილა ლანჩხუთამდე სამტრედიის სახალხო გვარდიის შტაბის მუსიკამ და არა სამტრედიის დეპოს მუშების მუსიკამ, როგორც ეს მოხსენებული იყო ერთობის მე-81 ნომერში.

კრებები

— დღეს, საღამოს 6 ს. დანიშნულია კუკიის ქვე-კოლექტივის მორიგი სხდომა, მეცხრე უბნის სასურსათო კომიტეტის ბინაზე.

— საშაბათს, საღ. 6 საათზე ვერის პარტიულ მუშათა კლუბის დარბაზში, (ოლღას ქ. № 29) დანიშნულია 4 რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრება. კრებაზე ამხ. პ. საგვარელიძე გააკეთებს მოხსენებას საერთაშორისო მდგომარეობაზე. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი.

— ოთხშაბათს, 16 აპრილს დილის 11 საათზე (ნაძალადევის თეატრში) შესდგება 1-ლი რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა კრება, წაკითხულ იქნება მოხსენება შემდეგ თემაზე: „კლასი და საზოგადოება“. წევრებს სთხოვენ აუცილებლად დაესწრონ.

პროვინციის ქრონიკა.

ს. უსუთი. მოჰკლეს ყაჩაღ-ავაზაკთა მეთაური მიხა ჯიქია.

სიღნაღი. ქ. სიღნაღში საერობო გამგეობა აარსებს სამაზრო წიგნთ-საცავ სამკითხველოს და სთხოვს მაზრის საზოგადოებას გაუწიოს დახმარება წიგნების და ფულის სახით. ვისაც სურს წიგნების გაგზავნა, მიმართოთ გამგეობას ქ. სიღნაღში.

ჩუღურეთი.

ნაძირალების თარეშმა უმაღლეს წერტილამდის მიაღწია. ისე დღე არ გავა, რომ აქ არ დაეცნენ ვინმეს და არ გაძარცვონ. ამას წინად პანასკერის ქუჩაზე № 24 სახლის ეზოში ქუჩიდან შეიყვანეს ერთი საბრალო ადამიანი და გაძარცვეს. წაართვეს 8000 მან. ამასთანავე თოკით დახრჩობაც მოუნდომეს. ეს გაიგეს ეზოში მცხოვრებლებმა და საცოდავი კაცი გადაარჩინეს, რომელსაც თოკი კისერზე ება. მძარცველებმა თავს უშველეს მილიციონერების მისვლამდე. გონჩარის ქუჩაზე დაეცნენ და გაძარცვეს ღვინით მოვაჭრე ხითაროვი ორჯერ ზედი-ზედ. წაართვეს ვერცხლის ქამარი, ფული და ღვინოები. გაძარცვეს მეწაღე ვანო მაისურაძე, რომელიც კრებიდან სახლში ბრუნდებოდა სუფკარაპეტის ხევზე. წაართვეს 650 მან. ფულად. იმავე კვირაში თავს დაესხნენ ნოვო-არსენალის ქუჩაზე მეპურეს, წაართვეს ფული. 22 მარტს, პანასკერის ქ. გაქურდეს ზერიევის მდგმური, წაიღეს 2000 მან. მან. იმავე ქ. გაძარცვეს მეწვრილმანე ტიგრანა. კიდევ ბევრი ასეთი მაგალითების ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს. და მე-8 უბნის კომისარი, თუმცა ღებულობს ზომებს, მაგრამ ეს ზომები უფრო ზერელეა და მიზანს ვერ აღწევს. საჭიროა მძარცველების მოსასპობათ ფუნდამენტურად მოისპოს მათი ბუნაგები, სადაც ისინი თავს იყრიან და აწყობენ სხვადასხვა გეგმებს. ეს ბუნაგები გახლავთ ე. წ. სასადილოები, რომლებიც მრავლად არის აქ. ამასთანავე მცხოვრებლებმაც უნდა შეუწყონ ხელი და ყველა ასეთი მაგრე ადგილების შესახებ ცნობები მიაწოდონ უბნის კომისარს. თორემ, თუ ასე გაგრძელდა, მთელი უბანი ანარქიის ასპარეზათ გადაიქცევა; საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება.

მკერავი ქალი

მთავრობაში

8 აპრილის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

— ასირიელთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნას: მიეცეს მას ათ-მილიონიან ფონდიდან სესხის სახით 50,000 მანეთი და შუამდგომლობაში აღნიშნული მოწმობები.

— კავკასიის მუზეუმის შესახებ სომხეთთან მოლაპარაკება დაევალოს საგარეო საქმეთა მინისტრს.

— შესაძლებელად იქნას ცნობილი სომეხ ლტოლვილთა საქართ. ტერიტორიაზე გატარება, მხოლოდ იმ გარანტიით, რომ ლტოლვილნი პირდაპირ წავლენ სამშობლოში და ყველა მათთვის

ჭირო ხარჯები გაღებული იქნება ...ნის მთავრობის მიერ.

— წინადადება მიეცეს ქალაქის თვითმართველობას პურის განაწილების ...ოს იხელმძღვანელოს მთავრობის 29 მარტის დადგენილებაში აღნიშნულ ნორმით და მიიღოს შესაფერი ზომები ყოველგვარი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ.

— ლეჩხუმის ერობას აღმოუჩინოს დახმარება ერობათა დასახმარებლად გადადებულ თანხიდან.

— სასურველად იქნეს ცნობილი, რომ ერობანი და ქალაქის თვითმართველობანი თავიანთ მოხელეთა ჯილდოს უფარდებდენ სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა ჯამაგირებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ ადგილობრივ თვითმართველობებს უარი ეთქვათ მთავრობის სუბსიდიაში.

— სამხედრო მინისტრის მოხსენება, სამხედრო უწყებაში მოსამსახურე პირთა ჯამაგირების მხრივ გათანასწორების შესახებ, მოწონებულ იქნას.

— გადაიდოს გზათა მინისტრის განკარგულებაში 14,080 მ. 98 კ. გზატკეცილების სამმართველოს შტატ-გარეშე მოხელეთა სალიკვიდაციო ჯილდოთი დასაკმაყოფილებლად გზათა უწყების კრედიტებიდან.

— ინჟინერ ბესარიონ ალექსის ძე ჭიჭინაძე დაინიშნოს მიწათ-მოქმედების, გზათა და შრომის სამინისტროს გზათა დეპარტამენტის დირექტორად.

— კანონ-პროექტი რუსეთის ზოგიერთ საბაჟოთა გაუქმებისა და ათ ადგილას ახალთა დაარსების შესახებ მოწონებულ იქნას და წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

— კანონ-პროექტი ქუთაისში პირველ ხარისხის საბაჟოს დაარსებისა და მისი შენახვისა ამა წლის პირველ აპრილიდან წლის დამლევამდე 152,690 მ. გადების შესახებ მოწონებულ იქნას და წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

— ფინანსთა მინისტრისა და სახელმწიფო ქაღალდების დამზადების ექსპედიციის მუშების შორის კოლექტიური ხელშეკრულობის საკითხის გადაწყვეტა და ცხოვრებაში გატარება მინდოს ფინანსთა მინისტრისა და შრომის მინისტრის ამხანაგის შეთანხმებით.

— სამხედრო უწყებისა და არტილერიის საწყობის მუშათა შორის ხელშეკრულობის პროექტის შესახებ საკითხის გადაწყვეტა და ცხოვრებაში გატარება მინდოს სამხედრო მინისტრისა და შრომის მინისტრის ამხანაგის შეთანხმებით.

ბეჭდვითი საქმის მუშათა შორის

13 აპრილს შესდგა საზოგადო კრება ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფეს. კავშირის წევრებისა. კრებას დაესწრო 400-მდე წევრი. დიდი კამათი გამოიწვია საკითხმა გამგეობის ხელახალი არჩევნების შესახებ, რომელიც გაგრძელდა 12 საათიდან 4 საათამდის. დასასრულ მოხდა ხელახალი არჩევნები. არჩეულ იქნენ შემდეგი პირები: 1) ნაკაიძე, 2) რეინგოლდი, 3) გოგუაძე, 4) ჩობორჯგინიძე, 5) ხარაზიანი, 6) კაიტმაჯიანცი, 7) მაკინაჯიანცი, 8) ვლიაძე, 9) გვარამიშვილი, 10) პელიძე, 11) ტოტაძე, 12) ლიონტი, 13) ჯაში, 14) ფილაქორია, 15) ივანოვი. კანდიდატები: 1) წულაძე, 2) ილიტოვსკი, 3) კილაძე, 4) თამაზაშვილი და 5) ბერგმანი. ამ რიგათ გამარჯვება ისევ ძველ გამგეობას დარჩა.

მოხელეთა არტელი

საქართველოს პასუხისმგებელ მოხელეთა არტელის დამაარსებელთა და წევრთა პირველი დამფუძნებელი საზოგადო კრება 13 აპრილს შესდგა. დადგენილ იქნა: არტელში მიღებულმა წევრმა სათავდებო, საწევრო და სარეზერვო თანხების დასაფარავად უნდა გადაიხადოს 10,000 მანეთი და ინვენტარისათვის დამატებით 200 მანეთი; არტელში ჩაწერისთანავე წევრმა უნდა წარადგინოს არტელის კასაში 3200 მანეთი; დანარჩენ თანხას კი იხდის ნაწილ-ნაწილად არტელის გამგეობისა და სათათბირო-სარევიზიო კომისიასთან შეთანხმებით; დაევალოს არტელის გამგეობას არტელთან სახელმწიფო ენაზე შესასწავლი კურსების საკითხის სისრულეში მოსაყვანად ამ თავითვე მიიღოს საჭირო ზომები და შემდეგ ეცნობოს მომავალ საზოგადო კრებას; არტელის მმართველ ორგანოში კრებამ ერთხმად აირჩია: არტელის საპატიო თავმჯდომარეებად: საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობის თავმჯდომარე, 3. ა. გოთუა და საქართველოს საგუბერნ. სამრეწველო პალატის თავმჯდომარე. არტელის გამგეთ სოხუმის ...ის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, კონსტანტინე გიგინეიშვილი. მის ამხ. წვრილი კრედიტის ინსპექტორი დავ. ჩხეიძე. გამგეობის წევრები: სახაზინო რკინის გზის მთავარი კასირი ი. კანდელაკი და თფილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მთავარი ბუღალტერი ს. ტაბუაშვილი. არტელის სათათბირო-სარევიზიო კომისიაში: თფილისის სამაზრო ერობის გამ. წევრი, ესტატე გველიშვილი, ჭიათურის შავი ქვის მწარმოებელთა საბჭოს მთავარი კასირი, გიორგი ნანეიშვილი და კახეთის მთავარი ბუღალტერი, ვახტანგ ყოჩლიანი.

თელავის სამაზ. ერობაში

30 მარტს დათავდა თელავის სამაზრო ერობის ხმოსანთა მეორე ყრილობა, რომელმაც 9 დღეს გასტანა. ყრილობის მუშაობა უკანასკნელ დღემდე მშვიდობით მიდიოდა და ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ამ მუშაობაში არავითარი პარტიული კინკლაობა თავს არ იჩენდა. მაგრამ ჩვენი იმედები არ გამართლდენ და ფედერალისტები, როდესაც ყრილობა აგრარული რეფორმის მეორე ნაწილის ცხოვრებაში გატარების საკითხს შეუდგა, ვრცელი დეკლარაციით გამოვიდნენ. ეხებოდენ რა დეკლარაციაში მიწის კანონის უვარგისობას, ფედერალისტები დირექტივს აძლევდენ გამგეობაში მყოფ თავის წევრს, რომ მან გამგეობაში მონაწილეობა არ მიიღოს, როდესაც გამგეობა ამ რეფორმის ცხოვრებაში გატარებას შეუდგებოდა. ხმოსანთა ყრილობამ სწორეთ ამ უკანასკნელ მუხლს დეკლარაციისას მიაქცია ყურადღება და ის მიუღებლათ სცნო. ამ ნიადაგზე დაირღვა ყრილობის ერთსულოვნება, რამაც გამოიწვია ფედერალისტების ყველა კომისიებიდან გასვლა და მათი გამგეობის წევრის უკან გაწვევა.

სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ფედერალისტებს მოსთხოვა, რომ მათ თავის დეკლარაციიდან ამოეშალათ მუხლი გამგეობის წევრის შესახებ, რადგან მათი აზრით ყოვლად შეუფერებელი იყო, რომ, რასაც ხმოსანთა ყრილობის დიდი უმრავლესობა გადასწყვეტდა, გამგეობის წევრს, როგორც აღმასრულებელ ორგანოსას, ის არ შეესრულებინა, მაგრამ ფედერალისტებმა ეს წინადადება უარყვეს და საბოტაჟის გზას დაადგენ.

ფედერალისტების ასეთი ნაბიჯი ჩვენი აზრით ორი ნაირათ შეიძლება აიხსნას: ან ასეთი მუხლის დეკლარაციაში შეტანა მათ მოუფიქრათ ფიცხობით და როდესაც ს. დ. ორატორებმა ეს უაზრობა მზის შუქზე გამოიტანეს, მათ შერცხვათ და უკან აღარ წაიღეს, ანდა ისინი ხელმძღვანელობდენ ცენტრის მაგალითით, როგორიც იქ, ცენტრში არც ერთი ს. ფედერალისტი მთავრობაში არ გაგზავნა, აქაც, პროვინციებშიდაც თვითონვე ანებებენ თავს სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში მუშაობას, ხოლო რომ ბოიკოტისტური ტაქტიკა მიაფუჩეჩონ და ხალხში სახელი არ გაიტეხონ, სხვადასხვა შეუფერებელ მიზეზებს აყენებენ.

სხვანაირათ ფედერალისტების მოქმედების ახსნა ჩვენი აზრით შეუძლებელი არის, რადგან თელავის სამაზრო ერობის ხმოსანთა მეორე ყრილობა ახალ მიწის კანონს კი არ იმუშავებდა, არამედ—საქართველოს პარლამენტის მიერ უკვე დაკანონებულ კანონს გეგმავდა და ეს შეხება მიმართული იყო იქით, თუ რა გზით და რა საშუალებებით გაეტარებინათ ეს კანონი თელავის მაზრაში. თუ ფედერალისტები უკმაყოფილონი არიან ხსენებული კანონით და თვითონ უკეთესი კანონი აქვთ, ჯერ კეთილ ინებონ და ეს კანონი ჩვენს საკანონმდებლო ორგანოს მიაწოდონ და მერე იმსჯელებენ ამაზე ჩვენი ხმოსნები. ეს ანბანური ჭეშმარიტება ფედერალისტებმა მხედველობაში არ მიიღეს.

სამაზრო ერობას მიწათ-მოქმედების სამინისტრომ მისცა ინსტრუქცია და გამზადებული კანონი და როგორც მაზრაში ყველა დაწესებულებებზე უფრო ავტორიტეტულ და უფლებიან ორგანოს მიანდო ამ ფრიად რთული რეფორმის ცხოვრებაში გატარება. მაშასადამე ხმოსანთა ყრილობის მოვალეობა იყო მაზრა დაეყოთ სააგრარო რაიონებათ, აერჩიათ პუნქტები, თუ სად იქნებოდენ სარაიონო კომისიები და სხვ. აი ყრილობის სამოქმედო ფარგლები. ხოლო ფედერალისტებმა, რაც არ იყო, იმაზე გაგვიმართეს კამათი.

დავუშვათ, რომ ფედერალისტები მართალი იყვნენ, როდესაც არ არსებულ კითხვაზე გამართეს კამათი, მაგრამ ამ კამათს აქვს მეორე უფრო სერიოზული მხარე და ეს მხარე გახლავთ ის, რომ აღმასრულებელ ორგანოს წევრს უბრძანებენ—შენ არ შეასრულო ხმოსანთა ყრილობის დადგენილება და დაარღვიე კანონი, რომელიც გავალებს ამა და ამ საქმის გაკეთებასო. ხმოსანთა ყრილობა ირჩევს გამგეობას, რომ მან, გამგეობამ, სისრულეში მოიყვანოს ყველა დადგენილებანი ყრილობისა. გამგეობის წევრს უფლება არა აქვს, სანამ ის გამგეობაშია, ხმოსანთა ყრილობის დადგენილება არ აასრულოს რაიმე პოლიტიკურ-ტაქტიკური მოსაზრებით. არც ამ ანბანურ ჭეშმარიტებას გაუწიეს ანგარიში ფედერალისტებმა და რომ თავისი გამოსვლა გაემართლებინათ, გვეუბნებოდნენ:—გამგეობაში მაინც ს.-დ. ხართ მეტი და ჩვენი გამგეობის წევრი რომ კიდეც არ დაგეხმაროთ, ამ რეფორმას მაინც გაატარებთო.

უნდა გულახდილათ ვაღიარო, რომ ფედერალისტების ასეთი არგუმენტი ყოველივე კრიტიკის დაბლა სდგას და თუ ასეთი მოსაზრების გარდა სხვა არაფერი გააჩნდათ, მაშინ უკეთესი იქნებოდა ხმოსნებისათვის აშკარათ ეთქვათ:—ჩვენ არავითარი სხვა მოსაზრება არ გაგვაჩნია და მხოლოდ ჯიუტობით. რომ ეს მართლა ასე არ ყოფილიყო, რომ მართლა ფედერალისტები საქმით ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი, მაშინ უმრავლესობა უმცირესობის არგუმენტს ხელს არ წაჰკრავდნენ, რადგან თუ დღეს გამგეობაში უმეტესობა სოც.-დემოკრატიან, რას იზამდენ იმ შემთხვევაში, როცა გამგეობაში ფედერალისტები მეტი იქნებოდნენ? ნუ თუ მაშინ საკანონმდებლო ორგანოს მიერ გამოცემულ სახელმწიფოებრივ კანონს გვერდს აუხვევდნენ და საკუთარ თელავის რესპუბლიკას შექმნიდენ? ან და შეიძლება ამ პარტიას ორმაგი პოლიტიკა აქვს: ერთი იმ შემთხვევაში, როდესაც ის უმცირესობას წარმოადგენს და მეორე უმრავლესობისთვის? არა მგონია რომელიმე საღათ მოაზროვნე პოლიტიკური პარტია ამ გზას გაჰყვეს, თუ მას მართლა ჭეშმარიტება აინტერესებს.

ასეთი იყო 30 მარტს თელავის სამაზრო ერობის ყრილობაზე ფედერალისტების გამოსვლა. ჩვენ გულწრფელად გვსურდა მათთან მუშაობა, რადგან ამ ახლად აღორძინებულ თვითმართველობაში ყველა ძალების მობილიზაცია საჭიროა, მაგრამ ფედერალისტებმა თავისი ფრაქციული ქინიანობა უფრო მაღლა დააყენეს, ვიდრე მაზრის ინტერესები.

ს. მუმზურიძე.

მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

დღევანდელ დუხჭირ დროის გამო მეაბრეშუმეობის ნაწარმოებს პარკს და ძაფს ჩვენს სასოფლო მეურნეობაში უმთავრესი ადგილი უჭირავს, როგორც საექსპორტო საქონელს და უცხოური ვალუტის მომპოვებელ გამაძლიერებელს. ამ გარემოებას როგორც მიწათ-მოქმედების მინისტრმა ისე ადგილობრივ ერობებმა და სათანადო დაწესებულებამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს და ყოველი ზომები მიიღეს, რომ რაც შეიძლება მეტი აბრეშუმის თესლი ყოფილიყო ჩვენი რესპუბლიკის ბაზარზე. როგორც ვიცით ომამდე რესპუბლიკის საბრეშუმო რაიონებში საჭირო იყო ყოველ წლობით 100,000 კოლოფზე მეტი თესლი, რომლის უმეტესი ნაწილი უცხოეთიდან შემოჰქონდათ. ომის დროს კი სხვადასხვა მიზეზთა გამო აღნიშნულ რაოდენობაზე შესამჩნევად იკლო და სულ 50—60 ათას კოლოფამდე ხარჯდებოდა.

რადგანაც უცხოეთიდან თესლის შემოტანა ომიანობის გამო მოისპო, მიწათ-მოქმედების უწყებამ სათანადო ზომები მიიღო ადგილობრივად თესლის დამზადების მოწყობაში, და მართლაც ამ უკანასკნელ წლებში ჩვენი მეაბრეშუმეები კმაყოფილდებიან თითქმის მარტო საქართველოში დამზადებულ თესლით.

რადგანაც ჩვეულებრივი საიმპორტო გზები თესლის შემოტანისა დაიკეტა, ზოგიერთი იმპორტიორებმა შესძლეს შარშან და შარშანწინ უცხოურ თესლის არახანგრძლივათ შემოტანა, მაგრამ, როგორც ვიცით, ეს თესლები უვარგისი გამოდგა და მეაბრეშუმეებმა დიდი ზარალი ნახეს. წელს მიწათ-მოქმედების მინისტრმა ზომები მიიღო, რომ უცხოური თესლი თავის დროზე ყოფილიყო შემოტანილი ძველის გზით (სტამბოლიდან) და შემოწმებული. მაგრამ ეს სასურველად არ მოხერხდა. და თესლი, როგორც მკითხველმა უწყის, მარტო აპრილის პირველ რიცხვებში იქნა შემოტანილი. ამ დროს კი თესლის გადმოტანა და მთელი კვირაობით გზაში დაყოვნება ძლიერ საშიშოა, რასაც გვიმტკიცებს ის მაგალითი, რომ ბათუმის სავაჭრო სახლის ახმედ-ბეის მიერ ამ დღეებში სტამბოლიდან მოტანილ თესლზე ხრისტოფოროვისა, დარკოპოლისა, ძმ. თუმანიანისა, კასაკ შვარცისა, ბაპიდი—იანაკაკოლისა, შამქარიანისა და სხვა ფირმებისა უვარგის-გაფუჭებული გამოდგა. ამისათვის ჩვენი მეაბრეშუმეების დიდი სიფრთხილე და წინდახედულება ჰმართებთ, რომ გაფუჭებული თესლი არ შეიძინონ.

თუმცა მთავრობამ ცალკე კანონით აღკრძალა უვარგისი თესლის გაყიდვა-გასაღება და მასთან აღკრძალულია თესლის გატანა სხვა მეზობელ ქვეყნებში, მაგრამ თესლის ვაჭრები მაინც ახერხებენ თესლის გატანას, რისთვისაც საჭიროა მეაბრეშუმეებმა დაიჭირონ თესლის შეძენა სათანადო დაწესებულებიდან და კოოპერატივებიდან. რადგანაც წელს შედარებით უფრო ცოტაა ბაზარზე რიგიანი თესლი, ურჩევთ მეაბრეშუმეებს შეამცირონ ჭიის გამოკვება და ერთი კოლოფის ნაცვლად ნახევარი კოლოფი თესლი დაიჭირონ, რაც საშუალებას მისცემს მას უფრო კარგათ მოუაროს ჭიას და მეტი მოსავალი მიიღოს პარკის. როგორც დანამდვილებით ვიცით, წელს ნედლი პარკის ფასები დიდი დარჩება და ჩვენი მეაბრეშუმეები დიდ სამსახურს გაუწევენ, როგორც თავის თავს, ისე რესპუბლიკას, თუ შეეცდებიან რაც შეიძლება მეტი და კარგი ხარისხის პარკის მოწევას.

მაშ, მიაშურეთ მეაბრეშუმეებო ადგილობრივ კოოპერატივებს და ერობებს და მათი დახმარებით შეიძინეთ თესლი.

მეაბრეშუმე.

მოვალეობის მსხვერპლნი

გიორგი თათულოვი

ქურდ-ბაცაცა ყაჩაღების თარეშს დასასრული არ უჩანს. ცდილობენ მშვიდობიან ცხოვრების აფორიაქებას, რომ ამღვრეულ და მღვრიე წყალში თევზები იჭირონ. ქურდ-ბაცაცნი ყოველდღე შრომას გაურბიან, რადგანაც მათი ხელობა მცარცველობაა. და აი, სწორედ ასეთი გამოსვლების მსხვერპლი შეიქმნა 8 აპრილს ღამის 11 საათზე ამხ. გიორგი ტატულოვი.

ამხანაგი გიორგი იყო კარგათ ცნობილი თავის ამხანაგებში ცხრაას ხუთიდან, იგი შეძლებისდაგვარათ მუშაობდა სხვებთან ერთად. დღიდან სახალხო გვარდიის დაარსებისა ამხ. გიორგიც ჩაება მებრძოლთა რაზმში და არას დროს უქმად თავისი თოფი კუთხეში არ მიუგდია. სადაც-კი ჩვენმა მებრძოლმა გვარდიამ თავისი თავგანწირული ბრძოლით დაღვარა საუკეთესო ამხ. სისხლი, იქ არას დროს უკან არ დაუხევია და ყოველ ფრონტებზე მონაწილეობაც მიიღო. ერთ-ერთ ბრძოლაში სადახლოსთან დაჭრილიც იქმნა, მაგრამ წარბი არც კი შეუხრია. აი ასე გაატარა მთელი თავისი სიცოცხლე, რომელშიაც ბევრი ტანჯვა იყო ჩართული. მაგრამ ბედნიერებას გრძნობდა ტანჯვასთან ერთად, რადგანაც იცოდა, რასაც ემსახურებოდა. მთელი შენი ნამოქმედარი გვიმტკიცებს, ამხანაგო გიორგი, რომ შენი დაკარგვით ჩვენ გამოვეთხოვეთ ერთგულ დარაჯი თავისუფლებისა. ამისათვის ვღვრით და ცხარე ცრემლს ვაფრქვევთ; შენში ჩვენ დავკარგეთ უწყინარი, პატიოსანი და მასთან მოვალეობის პირნათლად ამსრულებელი. ჩვენ ვტირით იმიტომ კი არა, რომ მხდალნი ვართ. არა ამხანაგო, ჩვენი ტირილი ამიერიდან უფრო გაღრმავდება შენდამი სიყვარულით და მოვაგონებთ ჩვენც ხალხის შენებრ ბრძოლას მტრის წინააღმდეგ. მშვიდობით პატიოსანო ადამიანო. მეოთხე რაიონის შტაბი თავის გვარდიელებთან ერთად ფიცს სდებს, რომ შენებრ იბრძოლებს და სახელი შენი წაუშლელათ დარჩება ამხანაგების მეხსიერებაში.

ვახო მაისურაძე.

პროფესიონალურ კავშირთა ყრილობა

12 აპრილი, დილის სხდომა.

თავმჯდომარეობს მ. ხოჭოლავა.

ყრილობამ დაამტკიცა რეგლამენტი, რომლის ძალით სხდომა მოხდება დილის და საღამოს 10 საათიდან 3 საათამდე და 6 ს. 9 ს.

კვლავ წამოიჭრა ყრილობის სახელწოდების საკითხი. მცირე კამათის შემდეგ დადგენილ იქნა. საღამოს 6 საათამდე მოეცადონ ბაქოელ დელეგატებს. თუ არ მოვიდნენ, იმ შემთხვევაში შესაფერი სახელი უწოდონ ყრილობას.

გაიხსნა კამათი ცენტრალური საბჭოს წარმომადგენელ ხელაძის მოხსენების შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ნადარეიშვილმა, კაპანაძემ, ბახტაძემ და ფუნელაძემ. პირველმა ორატორმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმ მძიმე ობიექტიური პირობებისა, რომელიც ხელს უშლიდა ცენტრს მოქმედებაში, მას მაინც უნდა გამოეჩინა თავისი „მე", როცა ჩვენში დიდმნ... ვანი საკითხები წყდებოდა. კავშირთა ცენტრს ყურადღება უნდა მიექცია აგრეთვე იმ შეცდომებზე, რომელიც მოსდიოდა მთავრობას. დანარჩენი ორატორები კი ამტკიცებდენ, რომ ისეთი მდგომარეობა შექმნა ობიექტიური პირობები ისე გართულდენ, რომ მეტის გაკეთება ცენტრს არ შეეძლო. მომხსენებელი ხელაძე უპასუხებს, რომ პროფესიონალურ კავშირთა კომპეტენციაში სრულიად არ შედის პოლიტიკაში ჩარევა, ამისთვის ჩვენ გვყავს მუშათა დეპუტატების საბჭო და მისი აღმასრულებელი ორგანო. პროფესიონალური კავშირები უნდა იდგნენ წმინდა კლასიური ნიადაგზე და პროფესიის ეკონომიური მხრის გაუმჯობესობაზე უნდა ზრუნავდენ.

კამათის შემდეგ მიღებულ იქნა ასეთი რეზოლიუცია: ყრილობა იღებს რა მხედველობაში მძიმე ობიექტიურ პირობებს, რომელნიც ხელს უშლიდენ მოქმედებაში კავშირთა ცენტრს, უცხადებს მას ნდობას და გადადის მორიგ საქმეებზე. ამ რეზოლიუციას ხმა მისცა 88 კაცმა, წინააღმდეგ 13 კაცმა, 11—თავი შეიკავა.

მოხსენებები ადგილებიდან.

ი. მეგრელიშვილი (სახაზინო რკინის გზა). ანარქიამ მოიცვა ქვეყანა და რკინის გზა თითქმის უპატრონოდ დარჩა, მაშინ რკინის გზის მოვლა-პატრონობა თავს იდვა ამიერ-კავკასიის რკინის გზის ცენტრალურმა კომიტეტმა. შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. საქართველოს სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ჩაისახა და ანარქიაც ჩაქრობილ იქნა. მართვა-გამგეობას სათავეში ჩაუდგა დემოკრატიის მიერ სრული ნდობით აღჭურვილი მთავრობა, ამიტომ რკინის გზელთა საერთო ყრილობამ დაადგინა ადმინისტრატიული ფუნქციები მთავრობისათვის გადაეცა. თვითონ კი წმინდა პროფესიონალური მუშაობა გაწარმოვებინა. რკინის გზის მართვა-გამგეობის მთავრობის ხელში გადაცემა მოხდა რკინის გზელთა სრული ნებით, არავითარ ძალდატანებას ამ მხრივ მთავრობისაგან ადგილი არ ჰქონია.

ამის შემდეგ რკინისგზელები შეუდგნენ წმინდა კლასიურ, პროფესიონალურ მუშაობას. რკინის გზაზე ირიცხება სულ 152 სხვადასხვა პროფესია. ჩვენ მთელი რკინის გზა გავყავით 145 „იაჩეიკათ", ლინიებად კი 9 რაიონად. ყველა ამ რაიონებს აერთებს ერთი ცენტრი. რაიონებში არსებობენ შემდეგი კომისიები: შრომის, საგამომძიებლო, კულტურულ-განმანათლებელი და სარევიზიო. ცენტრთან არსებობს სასურსათო და სამოსწავლო განყოფილება. საგამომძიებლო, შრომის, კულტურულ-განმანათლებელი, საექიმო, მიმღებ-გადამცემი და წარმატების კომისიები. ცენტრთან არსებობს აგრეთვე დისციპლინარული სასამართლო. კონფლიქტები და დანაშაულობანი გამოძიებულ იქნებიან ჯერ რაიონებში, შემდეგ ცენტრალურ კომიტეტში. თუ უკანასკნელმა ვერ შესძლო საქმის მოგვარება, მაშინ საქმე გადაეცემა დისციპლინარულ სასამართლოში. რკინის გზას აქვს ბიბლიოთეკები, კლუბები და სხვ. დამწყები კასები ჯერ ჯერობით ძველი წესით არის, საავადმყოფო კასები არ გვაქვს. მუშათა პენსიის საქმის სახელმწიფოებრივი მასშტაბით გადაწყვეტას ვუცდით და ჩვენ ამ მხრივ ნაბიჯები არ გადაგვიდგამს. მომხსენებელს მისცეს შეკითხვები, რომლების პასუხი ასეთი იყო: ნაციონალიზაცია ზოგიერთ დარგებში შეჩერებულია. ეს გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ნაციონალიზაციის გამო ზოგიერთი მცოდნე და საჭირო პირები წავიდნენ და საქმის წარმოება შეფერხდა. ეს არავითარ უკმაყოფილებას არავისში არ იწვევს.

8 საათის სამუშაო დღე რკინის გზაზე გატარებულია. მხოლოდ არის ისეთი დარგები, სადაც ამის გატარება შეუძლებელი ხდება. ამ დარგებში მუშებს ეძლევათ ზედმეტი სამუშაო ქირა. მაგ. კონდუქტორებს.

ა. ხელაძე. თფილისის პროფ. საბჭოში შედის 29 კავშირი. ამ კავშირებში შეკავშირებულია 38 ათასი მუშა მოსამსახურე. მთავარი კავშირებია: რკინის გზის, ლითონზე მომუშავენი, ბეჭდვითი საქმის, მეთამბაქოების და სხ. პროფესიონალურ კავშირებს დღემდე ჰქონდათ 4 უფასო სკოლა, სადაც სწავლობდნენ მუშები და მათი შვილები. საბჭოს აქვს მუშათა კლუბი, სადაც შეძლების და გვარად ვცდილობთ გავამსჭვალოთ მუშები პროლეტარული კულტურით, მუშათა კლუბთან მოწყობილია იაფფასიანი საჩაე და სასადილო. ყველა კავშირები იხდიან თავის შემოსავლიდან 5 პროც. საბჭოსათვის. საბჭომ მოაწყო მომრიგებელი კამერა პარიტეტულ ნიადაგზე. 10 წარმომადგენელი მუშებისაგან შედის და 10 მწარმოებლებისაგან თავმჯდომარეთ არის ნეიტრალური პირი. საავადმყოფო კასები სუსტათ არის მოწყობილი, უკანასკნელ ხანებში ამ კასების მოწყობის ინიციატივა თავს იდვა მეთამბაქოეთა კავშირმა საბჭოს ხელმძღვანელობით და ახლა მომავალში ჯეროვნად მოეწყობა.

პროფ. საბჭომ მონაწილეობა მიიღო შრომის კომისრის დანიშვნაში. საბჭოს აქვს ამ ჟამათ 50,000 მანეთამდე დეფიციტი, რაც მოგვცა უმთავრესად ჟურნალის გამოცემამ და შემდეგ კლუბმა. საბჭომ დაადგინა, რომ ყოველგვარი გამოსვლები მუშათა ორგანიზაციებისა დადასტურებულ უნდა იქნას საბჭოს მიერ. საერთოდ კავშირებში მუშაობა დამაკმაყოფილებელია. შეკითხვაზე,—არის თუ არა ნაციონალურათ შეკავშირების ტენდენცია, მომხსენებელმა უპასუხა, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ასეთი ტენდენცია არის.

შრომის ბირჟის შესახებ მოხსენებას აკეთებს გიკი. შრომის ბირჟაც მოწყობილია პარიტეტულ ნიადაგზე 5 წარმომადგენელია პროფ. კავშირებიდან, 5 კი კაპიტალისტებისაგან. ბირჟამ მოქმედება დაიწყო 1917 წლის დეკემბრიდან. პირველ ხანებში (3 თვეს) ბირჟას არ აქცევდენ შესაფერ ყურადღებას არც მუშები და არც კაპიტალისტები, მაგრამ თანდათან ორგანიზაცია განმტკიცდა. უმუშევართა რიცხვი გაიზარდა განსაკუთრებით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. შრომის ბირჟამ, რაც კი შეეძლო გააკეთა. დაარსდა შრომის ბირჟასთან სტატისტიკური განყოფილება; 1918 წ. განმავლობაში შრომის ბირჟაში ჩაეწერა 6 ათასამდე უმუშევარი. ადგილი მიიღო 41 პროცენტმა. დაკმაყოფილებულთა რიგში პირველი ადგილი უჭირავს ოჯახებში მოსამსახურეებს და შემდეგ ხელოსან მუშებს. ძალიან ცოტა რიცხვი ინტელიგენტებისა იქნა დაკმაყოფილებული (6%).

შრომის ბირჟამ მოაწყო ოქტომბერში უმუშევართა აღწერა, მაგრამ ამ აღწერამ სწორი შედეგი არ მოგვცა. შრომის ბირჟამ ნაბიჯი გადადგა უმუშევართათვის სახლის მოწყობისაკენ. ბირჟასთან არის სამკითხველო. ამ ჟამად რეგისტრაციის მიხედვით ქალაქში არის 2,000 უმუშევარი. ისე კი 10,000-მდე უნდა იყოს.

ვ. ტუხაია. (ქუთაისი). პროფესიონალური მოძრაობა ქუთაისში 1917 წ. იწყება. ქუთაისის ცენტრი აერთებს 15 პროფესიონალურ კავშირს. კავშირთა უმთავრესი მოქმედება გამოიხატება ეკონომიურ და კულტურულ საქმიანობაში. ქუთაისი წარმოადგენს ერთ ცენტრს, რომელიც ყველა გუბერნიაში არსებულ კავშირებს აერთებს და ჯეროვან ხელმძღვანელობას უწევს მათ. მაგ. პროფ. კავშირებს აქვს საღამოს კურსები მუშებისათვის, ამ კურსების მატერიალური მხარე ამ ჟამად ქალაქის თვითმართველობის ხელშია, ხოლო კურსებს ხელმძღვანელობდა კავშირების ცენტრი. ქუთაისში შეკავშირებულია 2,800-მდე მუშა. კავშირების სახარჯო წყაროს შეადგენს საწევრო გადასახადი 1 პროცენტიდან 2 პროცენტამდე. ცენტრის სახსარს შეადგენს კავშირების შემოსავლიდან 10% გადასახადი. უკანასკნელ ხანებში განზრახულია მუშათა კლუბის და წიგნთსაცავ სამკითხველოს მოწყობა.

შრომის ბირჟის შესახებ მოხსენებას აკეთებს ნარსია. ქუთაისში შრომის ბირჟა მუშაობას შეუდგა 1918 წ. იანვრიდან. პირველ ხანებში მწარმოებლები ბირჟას ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევდნენ, მაგრამ შემდეგ შრომის ბირჟა თანდათან მეტ მნიშვნელობას პოულობს და ანგარიშსაც უწევენ მას. უმუშევართა 48 პროცენტი დაკმაყოფილებულ იქნა. აქაც ინტელიგენტური შრომის ნაკლები მოთხოვნილებაა. სტატისტიკური განყოფილება ბირჟასთან არ არსებობს. 1919 წ. იანვრიდან აპრილამდე 1500 უმუშევარისაგან 1200 მიიღო ადგილი.

ვ. ნოდია. (ფოთი) ფოთში არსებობს ცხრა პროფესიონალური კავშირი. ყველაზე უფრო კარგათ მოწყობილია მტვირთავთა ორგანიზაცია, რომელიც არსებობს 1915 წლიდან. დანარჩენი ორგანიზაციები 5 თვის წინეთ მოეწყო. არსებობს ცენტრალური მომრიგებელი კამერა პარიტეტულ საფუძველზე შედგენილი. კამერის თავმჯდომარეა ქალაქის გამგეობის წევრი. არსებობს შრომის ბირჟა. ჩაეწერა სულ 500 კაცი, ადგილი მიიღო 200. შრომის ბირჟა ჯერ კიდევ შექმნის პროცესშია, ეწყობა მუშათა კლუბი და სამკითხველო.

კობახიძე (ჭიათურა) არსებობს 4 კავშირი. შავ-ქვაზე მოთხოვნილება არ არის და ამ მხრივ კრიზისია. არის სულ 500 მუშა. უმუშევრობა შესამჩნევი არ არის. არსებობს მუშათა დეპუტატების საბჭო.

ამხანაგ ესტატე ლომაძის გარდაცვალების გამო.

ესტატე ლომაძის გარდაცვალების გამო ნაძალადევის რაიონში საჭიროდ იყო მოწვეული 11 აპრილს შეერთებული კრება სასურსათო და სამოქალაქო კომიტეტებისა, რომელმაც აირჩია ამხანაგი გიორგი სადაგაშვილი და ამხანაგი ვასილი ჭარბაძე და მათ დაავალა გაუწიონ პატრონობა იმის უმწეოდ დარჩენილ ცოლ-შვილს. დადგენილ იქნა

ჯილდონ მწვრთნელე მონაწილეობა დასაფლავების დღეს. პირადი პატივსაცემლად ამხანაგ ლომიძის დღის აღსანიშნავ სასურსათო კომიტეტმა დაადგინა: ახალ მოსავლამდის თავის ფურნიდან აძლიონ სულზე გირვანქა მჭადი უფასოდ, სამოქალაქო კომიტეტმა გადასწყვიტა გაეწიოს ერთდროული დახმარება ხუთასი მანეთით. ხუთასი მანეთით დახმარება გადაუწყვიტა აგრეთვე კულტურულ-განმანათლებელმა კომისიამ ნაძალადევის რაიონისა, ვინაიდან ესტატე ლომიძე იყო საზოგადო ლაუდალავი გულწრფელი და უნიარი მუშაკი. მას დარჩა წვრილი ცოლშვილი ექვსი სულისაგან შემდგარი ყოვლად უშწეო მდგომარეობაში. იმედია მუშა მოსამსახურეთა ქალ. თფილისის პროფესიონალური კავშირი და იმისი ახლო ამხანაგები მიაქცევენ ჯეროვან ყურადღებას.

ი. მამაცაშვილი.

კოოპერატიული მოძრაობა

ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის ცხოვრებიდან.

სამი წელიწადი სრულდება, რაც ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირი დაარსდა. მისი აღმასრულებელი ორგანოები სცდილობენ კავშირის წევრ მოსხმარებელ საზოგადოებებს და რაიონულ კავშირებს ხელსაყრელ პირობებში პირველი საჭიროების საგნების შეძენა გაუადვილონ. კავშირის მიზანი მარტო ეს არ არის, მას კულტურულ-განმანათლებელ მოღვაწეობის საქმეც ძლიერ აინტერესებს, მაგრამ დღეს, როცა სასურსათო საქმე ძალზე გაწვავებულია, ამ მხარეს დიდი მნიშვნელობა ეძლევა. კავშირს მეტად რთული და პასუხსაგები საქმე აწევს. მან ხელი უნდა შეუწყოს კოოპერატივებს განვითარებაში, მიიღოს ზომები შეგნებული კოოპერატორების გასამრავლებლად, დაიცვას კოოპერატივების უმაღლესი ინტერესები, მისცეს მას ყოველნაირი რჩევა-დარიგება, უზრუნველ უნდა ჰყოს და მიაწოდოს კავშირის ბევრ მოსხმარებელ საზოგადოებას, რამდენადაც ეს მოსახერხებელია ამ დროში პირველი მოთხოვნილების საგნები და სხვა, ამას კი დიდი ენერგია, პრაქტიკა, ბლომათ ფულები, მოხერხება ესაჭიროება. კავშირის საქმეს ხელს უშლიდა და უშლის ტრანსპორტის მოუწესრიგებლობა. იყო შემთხვევები, როცა ამა თუ იმ დაკვეთილ საქონლის გადმოსაზიდავათ ვაგონები ვერ იშოვეს და ამან კიდევ უფრო ხელი შეუწყო სასურსათო კრიზისის გაძლიერებას.

კავშირში ამ ჟამათ 170-მდე მუშა-მოსამსახურეებია, რომელსაც ჰყავს თავის აღმასრულებელი ორგანო „თანამშრომელთა საბჭო", ეს უკანასკნელი გამგეობასთან ერთად სოლიდარულად მუშაობენ და ხელს უწყობენ კავშირის გაძლიერების საქმეს. ამ ბოლო ხანებში კი კავშირს მეტი საქმიანობა და გამოცდილება დაეტყო, მან შეიძინა ძეხვის, საპნისა და ხილის სახმობი ქარხნები, გახსნა საკუთარი სტამბა და ცდილობს კიდევ უფრო გააძლიეროს თავისი საქმე, მაგრამ ყოველი დემოკრატიული დაწესებულებების აღმასრულებელი ძალები უძლურია აწარმოვოს თავის ფართე მოღვაწეობა, თუ მას ზურგს არ უმაგრებს თვით დემოკრატია. ამ ბოლო ხანებში კოოპერატივებს მართლაც, რომ ბრაზებლი მტრები გაუჩნდნენ და კავშირი, როგორიც კოოპერატივების ცენტრალური სამმართველო, არ დარჩა მოკლებული ამ მტრების თინებს. ამის წინათ ჩვენს მოწინავეებს კავშირის არსებობა არ არსებობის საკითხი დღის წესრიგში უნდოდათ დაესვათ და ამით ეს დემოკრატიული ორგანიზაცია ფუჭად ექციათ, მაგრამ ვერ მოახერხეს და ვერც მოახერხებენ. საჭიროა მხოლოდ, რომ იმ კოოპერატივებმა და მომხ. საზ., რომლებიც ნამდვილ დემოკრატიულ ნიადაგზე და კოოპერატიულ პრინციპებზეა აგებული, მხარი დაუჭირონ კავშირის მიერ დემოკრატიისა და კოოპერაციის სასარგებლოთ გადადგმულ ნაბიჯებს და საჭიროების დროს თავის ავტორიტეტული ხმა მოაწვდინონ.

თედ. ხუხუნაიშვილი.

ს.-დემ. პარტიაში

თბილისი. 8 აპრილს, ამხ. რ. ჩიხლაძის თავმჯდომარეობით შესდგა მეოთხე რაიონული კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა. სხდომამ განიხილა შემდეგი კითხვები: 1) წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ. 2) კლუბის კომისიის მოხსენება, 3) სამეურნეო კომისიის მოხსენება, 4) საზოგადო კრების მოწვევა, 5) სახალხო უნივერსიტეტის ქართული განყოფილების გახსნის შესახებ, 6) ამხან. მ. თამაზაშვილის განცხადება. პირველი კითხვის შესახებ თანახმად ცენტრების გადაწყვეტილებისა, ქალთა ორგანიზაციის უფლებას აძლევს იყოლიოს სათათბირო ხმით კოლექტივში თავისი წარმომადგენელი. ხოლო იმ უბნებს, რომლებთაგან კოლექტივში არავინ შედის, მათთაც ეძლევათ უფლება გამოგზავნონ სათათბირო ხმით თითო წარმომადგენელი. ასეთი უბნებია: 1) საბურთალო, 2) ბოზარჯიანცის ქარხანა და 3) ფ. ტ. მოსამსახურეთა ორგანიზაცია. მეორე კითხვა დროებით ღიად დარჩა. მესამე კითხვის შესახებ კოლექტივი ღებულობს ამხ. ლ. ბერიტაშვილის ანგარიშს და ადგენს, რაც შეიძლება დაჩქარებით მოხდეს ძველის ლიკვიდაცია და ახალის ჩაბარება. მეოთხე კითხვის შესახებ, სხდომამ საჭიროთ სცნობს ამ დღეებში მოწვეულ იქნას რაიონის წევრთა საზოგადო კრება, სადაც განხილულ იქნას შემდეგი კითხვები: 1) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 2) საორგანიზაციო საკითხები და 3) რევოლიუციის მსვლელობა გერმანიაში. ამ უკანასკნელი კითხვის შესახებ სხდომა სთხოვს ამხ. პ. საყვარელიძეს გააკეთოს მოხსენება. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი. საზოგადო კრების მოწვევის დღის განსაზღვრა ევალება პრეზიდიუმს. მეხუთე კითხვის შესახებ, სხდომა, თანახმად კლუბის კომისიის გადაწყვეტილებისა, სახალ. უნივერსიტ. ქართ. განყოფილებას უთმობს ლექციებისთვის კვირაში ორ დღეს, ხოლო დღეების განაწილებას აძლევს კლუბის კომისიას. უკანასკნელი კითხვის შესახებ მდივანი აქვეყნებს ამხ. მ. თამაზაშვილის წერილობითი განცხადებას, რომელიც თხოულობს, რომ განთავისუფლებულ იქნას კლუბის კომისიის წევრობისაგან. სხდომა არ აკმაყოფილებს მის თხოვნას და სთხოვს მას განაგრძოს მუშაობა ზემოაღნიშნულ კომისიაში.

მ—ნი.

მუშათა შორის

თბილისი. 8 აპრილს ავლაბრის კლუბში შესდგა მკერავ ქალთა პროფესიონალური კავშირის წევრთა საზოგადო კრება ი. ხეცუაშვილის თავმჯდომარეობით. კრების მიზანი იყო კავშირის მტკიცე ნიადაგზე დაყენება. კრებამ იქონია მსჯელობა კავშირის მოქმედებაზე წარსულში და სხვათა შორის აღნიშნა, რომ საკერავის გამართვის სამხედრო უწყებიდან წინ ეღობებოდა მრავალი დაბრკოლებები და აგრეთვე ხელფასის დაწესება და განაწილება საკერავისა ხდებოდა არა ნორმალურად. ზემო აღნიშნული მდგომარეობის მიზეზების გამოსარკვევათ, არჩეულ იქნა შვიდი ქალისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც მიენდო ცნობების შეკრება და წარდგენა მომავალ კრებისთვის განსახილველად. კრებას დაესწრო ცენტრალურ პროფესიონალურ კავშირის სეკრეტარიატის წარმომადგენელი ამხ. აბდუშელიშვილი. მან დაწვრილებით დამსწრეთ ლარსება და მიზანი პროფესიონალური კავშირებისა და მოუწოდა მსმენელთ შემოკრებოდნენ კავშირის გარშემო და მიიღონ თვითეულმა მათგანმა მონაწილეობა მუშაობაში, იქონიონ მტკიცე ორგანიზაცია, რითაც შეუწყობენ ხელს როგორც კავშირის აღორძინებას, აგრეთვე აიცილებენ თავიდან ყოველივე გაუგებრობას და არანორმალურ მოვლენებს.

აქვე აბდუშელიშვილმა და ზოგიერთ მოწინავე ქალებმა აღნიშნეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს თვითცნობიერებაში შეკავშირებულ მუშაობას, როგორც პროფესიონალურად, აგრეთვე პოლიტიკურადაც. მოკლედ აღნიშნეს, თუ რა ღვაწლი მიუძღვის ს. დ. მუშათა პარტიას ამ მხრივ და მოუწოდეს ამხანაგ პარტიულ ქალებს დაარსონ მესამე რაიონის ქალთა წრე, რა მიზნისთვისაც არჩეულ იქნა საორგანიზაციო კომისია 6 ქალისაგან შემდგარი.

დამსწრე.

პროვინცია

ოზურგეთი. 9 მარტს შესდგა ოზურგეთის რაიონის კოოპერატივთა კავშირის რწმუნებულთა ყრილობა, რომელსაც დაესწრო ყველა 40 მოკავშირე კოოპერატივების წარმომადგენლები, ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარე ლ. ცეცხლაძე, გამგეობის წევრი გ. ზერეცხი და ამიერ-კავკასიის კოოპერ. კავშირის ინსტრუქტორი ალ. ერქომაიშვილი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა გ. ზერეცხიანი, მდივნათ ლ. ჩავლეიშვილი. ყრილობას გამგეობამ წარუდგინა დღის წესრიგი: განვლილ წლის ანგარიშების, მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვის და მოგების განაწილების შესახებ. სანამ ყრილობის დადგენილებებს მოვიყვანდე, საჭიროთ მიმაჩნია მოკლედ შევეხო კავშირის დღევანდელ მდგომარეობას. ოზურგეთის რაიონის კოოპერატივთა კავშირი დაარსდა 1917 წლის მარიამობისთვის პირველს. მიუხედავათ ათასნაირი დაბრკოლებებისა, ოზურგეთში ოსმალთა შემოსვლით კავშირის მთლად განადგურებისა (დაეკარგა 106,000 მანეთის ქონება) გამგეობამ იმედი არ დაჰკარგა და ისევ ოსმალთა გასვლის შემდეგ ძველ საქმეს მოჰკიდა ხელი და დანგრეული კავშირი აღადგინა. გამგეობამ იმდენი საქონლის გადაბრუნება შესძლო, რომ დანაკლისი 106,000 მან. ანაზღაურა და წმინდა მოსავლის დარჩა კიდევ 81,518 მ. 84 კ. დღეს კავშირს უჭირავს მშვენიერი ორ-სართულიანი (10 ოთახით) სახლი. ზედა სართულში მოწყობილია კავშირის კანტორა გამგეობისთვის, ბუხგალტერიისთვის, ინსტრუქტორისთვის და მოანგარიშეებისთვის ოთახებით. ქვედა სართულში არის საწყობი მშრალი საქონლებისთვის, და კიდევ აქვს ორი საწყობი მძიმე საქონლებისთვის, როგორიც არის: მარილი, რკინეულობა და სხვა. არის ყველა წიგნების წარმოება, დაქირავებულია გამოცდილი ბუხგალტერი და მოანგარიშეები, ჰყავს ორი დახელოვნებული საქონლის შემძენი. აქვს ბეჭდვითი ბროშურები, წესდებები, უწევს დახმარებას კულტურულ, საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებს. მუშაობის საათი განსაზღვრულია 9—3-მდე. ყრილობამ წლიური ანგარიში დაამტკიცა და როგორც გამგეობა, ისე თანამშრომლებიც მადლობით გაისტუმრა და კიდევაც დააჯილდოვა. მანვე დაამტკიცა შემდეგი ხარჯთ აღრიცხვა მომავალი წლისთვის: 1) ბინის ქირა წელიწადში 10,000 მ., 2) ორი საქ. შემძენი თითოს თვეში 1000 მ., წლიურ. 24,000 მ., 3) მეურმეც გამგეს თვეში 1000 მ., წლიურ. 12,000 მ., 4) ხაზინადარს და მდივანს თვეში 500 მ., წლიურ. 6,000 მ., 5) ბუხგალტერს თვეში 1000 მ., წელიწადში 12,000 მ., 6) მოანგარიშეს—850 მან. წელ. 10,200 მ., 7) 2 საწყ. გამგეებს თითოს თვეში 800 მანეთი, წლიურ. 19,200 მ., 8) ღამის დარაჯს 400 მან., წელ. 4,800 მ., 9) კანტორაში მოსამსახურეს 350 მ., წელ 4,200 მ., 10) მოგზაურობა კავშ. საქმეების გამო წელიწადში 25,200 მ., 11) განათება წლიურ. 1,500 მ., 12) კანტორის ხარჯები—1,500 მ., 13) % ნასესხებ ფულებზე—10,000 მ., 14) კრებების მოწვევა—500 მ., 15) მოულოდნელი ხარჯები—5000 მ., 16) სარევ. კომისიის გასამრჯელო—2,500 მ. სულ 148,600 მ.

წმინდა მოგება ყრილობამ შემდეგნაირათ განაწილა: 1) სათადარიგო თანხაში 23,613 მ. 84 კ., 2) ძირითად თანხაში 10,000 მ., 3) შენობის ფონდი 30,000 მ., 4) კოოპერატიულ სკოლისათვის 5,000 მ., 5) სამ. ერობას ნატან. გზის შესაკეთებლათ 3,000 მ., 6) საპაიო თანხაზე 1,800 მ., 7) ლატ. ბილეთების შესაძენად 3,150 მ., 8) სოფ. ოზურგეთის სამკითხველოს 300 მ., 9) კავშირის ბიბლიოთეკისათვის 1,450 მ., 10) კავშირის სამს მოსამსახურეს ჯილდოთ 900 მ., 11) კავშ. 4 გამგეობის წევრებს 1100 მ., 12) ოთხ ღარიბი მოწაფის (2 ვაჟთა და 2 ქალთა გიმნაზიის) სწავლის ფული მეურმეთ 1,200 მან. სულ 81,518 მ. 84 კ.

ამას გარდა ყრილობამ დაადგინა: შეიძინოს კავშირმა შენობის ფონდისთვის გადადებულ 30,000 მანეთის სახელმწიფო სესხის ობლიგაციები და შეძლების დაგვარათ ყველა კოოპერატივებმა გაანაღდოს ხსენებული სესხი.

კოოპერატორი.

წერილი რედ. მიმართ

დაბინის ს.-დ. ორგანიზაციის საერთო კრებამ განიხილა „ერთობის" № 45-ში მოთავსებული ა. ქოსაშვილის წერილი და დაადგინა: დაევალოს ხელმძღვანელ კოლექტივს გასცეს დასაბუთებული პასუხი. კოლექტივი საჭიროდ სთვლის განაცხადოს შემდეგი: დაბინ-ჭაგნის საზოგადოების შექმნა გამოწვეულია არა „ხალხის მტრების" აგიტაციით, როგორც ეს ჰგონია ქოსაშვილს, არამედ—ეს არის სურვილი ამ საზოგადოების მცხოვრებთა დიდი უმრავლესობისა. ჩვენ ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებათ მიგვაჩნია, რომ ეკონომიური და კულტურული მოსაზრებანი ბევრად უფრო მკვიდრი და ძლიერი საშუალებაა ორი სოფლის დასაახლოებლად, ვინემ სოფლის „კანცელარია", რომლითაც ხალხის ხსოვნაში შეკავშირებულია ნიკოლოზის ბოქაული და მისი სტრაჟნიკები. ამ ორ სოფელს თავის ხანგრძლივ ერთად მუშაობის დროს ვერავითარი საერთო ვერ შექმნია. მაგალითად, 35 წლის წინად, როცა ამ ორ საზოგადოებას სურდათ ერთად აეგოთ სკოლა და დაბინის საზოგადოებამ მიზიდა კიდეც მასალა—ქვიტირის მცხოვრებლებმა დამალეს და დამახინჯებული მასალა ისევ უკან წაიღეს. ასეთივე ბედი ეწვია ბაზრის დაარსებას: როცა 1905 წ. დაბინის საზოგადოებამ სთხოვა მათ ერთად გაემართათ ბაზარი, ადმინისტრატიულ ცენტრის ახლოს, ქვიტირის საზოგადოებამ მათ ამისათვის მიწა არ დაუთმო. როგორც სკოლა, ისე ბაზარი დაბინამ გააშენა მარტო ქვიტირის დაუხმარებლად.

ამ გვარათ, სკოლა და ბაზარი ს. დაბინის თავისთვის გაუჩნდა, ამ ორ დაწესებულებას შეეძლო ჩაენერგა ხალხის გულში ადმინისტრატიული გამოცალკევების მიდრეკილება, მაგრამ ამ ორი ფაქტს მესამეც მიემატა: კოოპერატიული მოძრაობის დროს დაბინა კიდევ შეეცადა ს. ქვიტირის საზიაროდ გაეკეთებინა კოოპერატივი, მაგრამ ამაოდ, შეთანხმება აქ არ მოხერხდა და სოფელი დაბინაც იძულებული შეიქნა „ვერხვის მინდვრის" ბაზარზე დაეარსებინა კოოპერატივი. ამ გვარათ, ვერც ერთი საერთო სასარგებლო ნაბიჯი ვერ გადადგა ამ ორ სოფელმა და ამის შემდეგ, არ ვიცი, რომელ ვითომდა წინეთ არსებულ თანხმობაზე და სოლიდარობაზე ლაპარაკობს ა. ქოსაშვილი თავის წერილში. შეიძლება ქოსაშვილს არ მოეხსენება, რომ სწორეთ რევოლიუციის ხანაში არ შემდგარა არც ერთი საერთო კრება ამ სოფლებისა, რომელიც უინციდენტოთ გათავებულიყოს. ის შეუერთდა ს. ჭაგნის ნაწილს, რომელთანაც ჰქონდა საერთო კოოპერატივი და ბაზარი და დაარსა საკუთარი საზოგადოება დაბინ-ჭაგნისა; ამოირჩია აღმასრულებელი კომიტეტი, კომისარი, მილიცია და აცნობა ყოველივე ეს მაზრის და გუბერნიის ადმინისტრატიულ ორგანოებს, ამასთანავე ეს ახალი საზოგადოება მიეწერა სამტრედიის რაიონს. ერთი საკმაოდ ძლიერი მოსაზრება, რომლითაც ხელმძღვანელობდა დაბინა ახალი საზოგადოების შექმნის დროს, იყო სწორეთ ის, რომ მას სამტრედიის რაიონთან სურდა დაკავშირება ადმინისტრატიულადაც, ხოლო ამის წინააღმდეგი იყო ქვიტირი, რომელიც ხიბს არ შორდებოდა.

ესაა მოკლეთ დაბინ-ჭაგნის საზოგადოების დაარსების ისტორია. აწინდელი ვითარება ამ საზოგადოებისა ასეთია:

ამ საზოგადოებაში ამ ჟამად არის შემდეგი კულტურული დაწესებულებები: ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, წიგნთ საცავი სამკითხველო, კოოპერატივი, ორკლასიანი და უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლები და აგრეთვე აქ არის ქვეყნიანი სახალხო გვარდიის შტაბი, აქვე განზრახულია სამეურნეო სასწავლებლის დაარსება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კულტურულ დაწესებულებებს აქვს საკუთარი შენობა, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს ნახევარ მილიონ მანეთს.

არა აქვს ამ საზოგადოებას მხოლოთ აფთიაქი, მაგრამ შესაფერი შუამდგომლობა კოოპერატიული აფთიაქის დაარსების და ექიმის მოწვევის შესახებ უკვე აღძრულია.

როგორც ხედავთ ამ საზოგადოებას უკვე მოეპოვება ყოველივე ის კულტურული განმანათლებელი დაწესებულებანი, რომელიც უნდა ჰქონდეს კეთილ მოწყობილ სოფლის საზოგადოებას. დაბინის ძველი საზოგადოების სახაზინო მას აქვს მხოლოდ „კანცელარიის" შენობა, ა. ქოსაშვილი კი, ამ შენობის მოსალოდნელ დარღვევაზე ღვრის ცრემლებს.

ფინანსიურ მდგომარეობის მხრივ უნდა ითქვას, რომ კარგ პირობებშია, რადგანაც საზოგადოების განკარგულებაშია ბაზარი, რომლის შემოსავალი მიმდინარე წელში ნავარაუდევია თორმეტი ათასი მანეთამდის.

ასე, რომ მცირე ერთეულის მოწყობა შედარებით უმტკივნეულოთ შეიძლება აქ გატარდეს.

ამ საზოგადოების მცხოვრებთა რიცხვიც საგრძნობლათ დამაკმაყოფილებელია იმ ნორმის მიხედვით, რომელიც ერობის მიერ არის მიღებული.

დასასრულ დაბინ-ჭაგნის საზოგადოების ს.-დ. კოლექტივი გამოსთქვამს იმედს, რომ სამაზრო, საერობო ყრილობა სათანადო ყურადღებით მოეპყრობა ამ საკითხს და გადასწყვეტს მას იმ სახით, რომელიც ჩვენი საზოგადოების მწყობრ კულტურულ სამეურნეო მუშაობას ხელს შეუწყობს და ერთხელ და სამუდამოთ მოსპობს ყოველივე არევდარევას.

დაბინ ჭაგნის ს.-დ. კოლექტივი.

განცხადებანი

10 აპრილს სოლდათის ბაზარში

დაიკარგა

პარტიული წიგნაკი ს. ტყეთის ს. დ. ორგანიზაციის მიერ მოცემული. „პასპორტი" ს. ტყეთის კომისარის მიერ მოცემული და სხვა, რომელშიაც იყო 400 მან. ფული. მპოვნელს ვსთხოვ გამოგზავნოს შემდეგი მისამართით: რკ. გზ. საქონლის სადგური გიორგი ბლუფსის ძე დუმბაძეს. წინააღმდეგ შემთხვევაში დოკუმენტებს გაცხადებთ გაუქმებულათ.

დაიკარგა

დათიკო ივანეს ძე როსტომაშვილმა ბაქოდან თფილისამდის მოგზაურობის დროს „პოსლუჟნოი სპისოკ", მოცემული მეცხრე ქართულ პოლკიდან და მოწმობა თფილისის მაზრის უფროსისაგან. მპოვნელს ვთხოვ დააბრუნოს შემდეგი მისამართით: პავლოვის შესახვევი № 1, რაშიაც მიიღებს შესაფერის ჯილდოს.

ქართული ლატარია

დაგვანებოთ თავი
ყველაფერს და ყველას!
ერთი კითხვა მწვავე
ახლა ითხოვს შველას.
ჯერ არ დაგვგვიანდა,
ლატარიის ბედი!
ხელოვნება გვინდა
განათლების ხვედრი.
ეხლა ლექსი აქებს,
ჩვენი ქვეყნის მმართველს,
ყველა მოქალაქეს,
ყველა ერთგულ ქართველს:
მოიგეშურეთ მალე
ჩვენ გასწავლით გზასა...
სწრაფად დაიცალა,
ბილეთების კასა!
მსურს მუდამ ვუმღერო,
ერს სხვა ფიქრით გართულს:
„მიაშურე ერო,
ლატარიას ქართულს".

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
ვ. ვ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს: ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენზიოდი და არსეფალის ტიპით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და სადამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 25, ტელეფ. 7—92.

ექიმი
მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფობის მიღება ყოველდღე სად. 5—7 საათ. ოლღის ქ. № 41, ტელ. 9—53.

ექიმი
დ. ი. ცაგარელი
შინაგანი სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს სადამოს 5—7 საათ. პუშკინის ქუჩა, № 9.

ექიმი შ. ა. ზუზავა.
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—11 და სადამოს 5—8 საათამდე. ქალების სადამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით მისამ: ოლღის ქ. № 33.

ექიმი
ბესარიონი პაპოვი
განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს. მიღება დილ. 11—12 საათ. და სად. 5—7 საათამდე. მიხეილის პრ. № 117, ტელ. 13—27.

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილი
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს ყოველ დღე შინაგან, სიფილისით და ქალურ სნეულებით ავადმყოფთ დილისით 12—2 საათ. ნიკოლოზის ქ. № 7 სიმხოვრის აფთიაქის გვერდით.

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
კიროჩნი ქ. № 49, ანდრეევის ქუჩის კუთხე. ვენერიულ სნეულებათა სპეციალისტი (მწვავე და ხრონიკული სუსუნატი) სიფილისი და მისი შედეგები, კანის ავადმყოფობანი, „606" და „914" შეშხაპუნება. მამაკაც ავადმყოფების მიღება დილის 10—12 საათ. და სადამოს 5—7 საათამდე. ქალების სადამოს 4—5 საათამდე.

ექიმი
კეკელია
იღებს ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. სადამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ. ტელ. 14—23.

სამკურნალო კაბინეტი ექიმი
ვ. ნ. გოგიტიძისა
ყოფ. ორდინატორი ვენერ. კლინიკის სამხ. სედ. აკადემიისა პეტროგრადში. ვენერიული, კანის, სიფილ. შარდის და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. „606" და „914" შეშხაპუნება. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე კვირა და უქმე. დღეების გარდა, სადამოს 4—8 საათამდის. კაჩუბეევის ქუჩა, № 11.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე სად. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

დოქტორი
მ. გოლდშტეინი
ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი ჰოსპიტლისა და ვენის უნივერსიტეტის კლინიკისა.
თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 10—1 საათამდე და 4—7 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ექიმი ქალი
რ. გ. შიშლო-საგაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მეანკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და სადამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ექ. დ. ი. ჯაფარიძე
ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავადმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ., სადამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქ. № 7 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—65.

მედიცინის დოქტორი
ალ. გ. მაჭავარიანი.
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ სადამოს 5—7 საათ. კვირაობის გარდა. მიხეილის ქუჩა სახლი ადამოვისა № 111 (მე-2 ფლიგელი) ეზოს ტელეფონი № 49.

სახელმწიფო თეატრი
საოპერო დასი ს. ი. ეცლაპიშვილის ხელმძღვანელობით.
სამშაბათს 15 აპრილს პეტროგრადის სამუსიკო დრამის ცნობილი მსახიობ ქალის მ. ს. დავიდოვას მონაწილეობით
კარმენი
მონაწილეობენ: დავიდოვა, გარტმანი, კანშინი, ისეცკი, ინაშვილი. ოთხშაბათს ალეშკის მონაწილეობით „ჟიდოვკა".

მეოთხე რაიონული კოლექტივი
სამშაბათს, 15 აპრილს, სად. 6 საათზე, ვერის პარტიულ მუშათა კლუბის დარბაზში (ოლღას ქ. 29) იწვევს მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა
საზოგადო კრებას
დღის წესრიგი: 1) მოხსენება სარევიზიო კომისიისა. 2) საორგანიზაციო კითხვები. 3) საერთაშორისო მდგომარეობა. უკანასკნელ კითხვაზე მოხსენებას გააკეთებს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი ამხ. პ. საყვარელიძე. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი. ყველა პარტიის წევრთა დასწრება სავალდებულოა. მე-4 რაიონული კოლექტივი. (2—2)

საჯევახოს მომხმარებელი საზოგადოება „კავშირის"
გამგეობა უმორჩილესად სთხოვს თავის წევრებს მობრძანდნენ სადგურ საჯევახოში 22 აპრილს დილით სამშაბათს დილის ათ საათზე
საზოგადო წლიურ კრებაზე
დასასწრებლათ. განსახილველია შემდეგი საგნები: 1) 1918 წლის ანგარიშის დამტკიცება, 2) ამა მდგომარე წლის ხარჯთ აღრიცხვა, 3) მოგების განაწილება, 4) შენობის შეძენა ამხანაგობისთვის. (1—1)

რენტგენის კაბინეტი
მერვე ლაზარეთისა, რომელიც უწინ მოთავსებული იყო არამიანცის სახლში, გადატანილია ქალაქის ალექსანდრეს სავადმყოფოში (ვაკე, მთავრის ქუჩა № 103) და იღებს რენტგენის სურათებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით დილის 10—12 საათამდე
კაბინეტის გამგე გრიგორიანცი. (2—2)